ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

დავით დონდუა: „არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე ვერც რუსეთისა და ვერც ცხინვალისგან ვერაფერი მოვისმინეთ“

გვ.3

29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ხუთშაბათი, 29 მარტი, 2018 №74 (7619) ფასი: 50 თეთრი

ძალადობა 13 წლის მოზარდზე საბურთალოზე უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავეს

გვ.2

ალეკო ელისაშვილი: „კახა კალაძე გენგეგმას ჩააგდებს!“

გვ.2

„ეს იქნება „ქართულ ოცნებაში“ მოკალათებული დეველოპერების, სინამდვილეში კი „ცეხავიკების“ გამარჯვება“

გვ.2

გვ.4

ვახტანგ მაისაია: „საქართველო დასავლეთსა და რუსეთს შორის ახალი ცივი ომის ეპიცენტრში ექცევა“

გვ.2

ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ჩაჩანიძე გადააყენეს

სამართალი

გვ.7

რითი აშანტაჟებს მირზა სუბელიანი პროკურატურას



ათენში 4 ქართველი დააკავეს

„მკვლელ მძღოლს მაღლჩინოსნები მფარველობენ, გვინდა 7 წელი მიესაჯოს“

„ჩატაევის საქართველოში ყოფნის შესახებ ალდამოვმა არ იცოდა“

ეკონომიკა

გვ.6

ჰიბრიდული სიმინდით დაზარალებულები — „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სიმინდის მარცვალი უხარისხო იყო“



იმერეთიდან რაჭამდე მანძილი ერთი საათით შემცირდება

გვ.4

გვ.6

საარსებო შემწეობის მიმღებ მოქალაქეთა რაოდენობა გაიზარდა

ISSN 1987-9385

8 ტრამპმა კურსი რადიკალურად შეიცვალა

5 დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ვითხოვ, ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებმა ჩაიტარონ ნარკოტესტირება“

11 ირაკლი კაკაბაძე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ბოიკოტს უცხადებს

8 კემეროვო: პუტინი ხალხთან არ გავიდა

ალეკო ელისაშვილი: „კახა კალაძე გენგეგმას ჩააგდებს!“

ნათია ხურცილავა

თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაზე საუბრობს.

„ეს იქნება „ქართულ ოცნებაში“ მოკალათებული დეველოპერების, სინამდვილეში კი „ცეხავიკების“ გამარჯვება“

– ალეკო, რამდენი მერი გამოიცვალა თბილისმა, მაგრამ ვერც ერთმა მერმა ვერ მოახერხა, რომ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა დაედო. როგორ ფიქრობთ, კახა კალაძის დროს თბილისს განვითარების გენერალური გეგმა ექნება?

– როგორც ჩანს, გენგეგმას ჩააგდებენ. ობიექტურად თუ ვიტყვი, ეს იქნება ხელიდან გაშვებული შანსი. რა არის გენგეგმა? გენგეგმა არის ქალაქის განვითარების, მისი მომავლის გენერალური ხაზი, თუ როგორ უნდა განვითარდეს ის მომავალში და როგორ უნდა იყოს ქალაქი. ერთადერთი, რაც ნარმანიას მმართველობიდან, იმ უღიმღამო პერიოდიდან დარჩა, გენერალური გეგმა არის. ნარმანიამ ეს გენგეგმა ვერ დაამტკიცა, ვერ მიიღო, ამის უფლება, უბრალოდ, არ მისცეს. გენგეგმა აქამდე რომ ამოქმედებულიყო, მერწმუნეთ, ქალაქი ამოისუნთქავდა. ეს საშინელი მავნებლობა და ქაოსი ვეღარ გაგრძელდებოდა.

– ვინ არ მისცა?

– „ცეხავიკებმა“, რომლებიც ვეღარ გაძღნენ ამ ქალაქის აოხრებით. მათ უნდათ, რაც კი ადგილები დარჩა, რაც კი სკვერი და სტადიონი დარჩა, იყიდონ, ხელში ჩაიგდონ და ააშენონ ის, რაც მათ უნდათ. დარჩენილი ადგილების გაპარტახებისა და ჯიბეების გასქელების ხარჯზე უნდათ ეს ყველაფერი. რასაც ახლა ვხედავთ, ეს არის „ცეხავიკების“ და სხვას ვერაფერს ვერ ვუწოდებ იმ ადამიანებს, ბრძოლა გენგეგმის მიღების, დამტკიცების წინააღმდეგ.

– ვის გულისხმობთ?

– „ქართული ოცნების“ იმ დეპუტატებს, რომლებსაც აქვთ დეველოპერული კომპანიები. შესაბამისად, არ მთავრდება ეს პოლიტიკა. კალაძე არის მათი ინტერესების გამტარებელი. კი გაიმართა საჯარო დისკუსია, მეც მივედი განხილვაზე, რადგან მაინტერესებს, როგორი იქნება ეს დოკუმენტი, მაგრამ რეალურად რა ვნახეთ, ამხანაგური სასამართლო პროცესი მოუწყვეს გენგეგმის ჯგუფს, „სითი ინსტიტუტის“ წარმომადგენლებს. ადეკვატურად მიაჩნია რომელიმე ადამიანს, რომ გამოვიდეს დედაქალაქის მერი და თავის შესავალ სიტყვაში თქვას – გადაწყვეტილებას ორ დღეში გამოვაცხადებთო და თან გენგეგმის განხილვა მიმდინარეობდეს.

– კალაძემ თქვა, ჩემი სურვილით მოვიწვიე ოპოზიცია განხილვაზეო.

– საერთოდ რაზეა საუბარი?! საუბარია იმაზე, თბილისი აოხრდება თუ იქნება ნორმალური, განვითარებული ქალაქი. თუ მართლაც ჩვენთან ერთად უნდოდა კახა კალაძეს გენგეგმის განხილვა, ჩვენი ქალაქისთვის კარგი, საჭირო დოკუმენტის მიღება – რა, აქამდე ვერ გაიგო ჩემი ნომერი და სხვების ნომერი, რომლებსაც შესტკივათ ამ ქალაქზე გული?! რეალურად რაც იყო, ის გენგეგმის განხილვა კი არ იყო, ის იყო ძველბიჭურ-ქაჯურ პროვინციული მასკარადი. ჯერ თავად გაიქაჩა, შემდეგ ვიღაც ვატოები, არშემდგარი ძველი ბიჭები აყვნენ და მასკარადი მოაწყვეს.

– თქვენ მოგწონთ „სითი ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებული დოკუმენტი?

– დიახ, რომ არ მომწონდეს, ამდენს ხომ არ ვილაპარაკებ. გულდასაწყვეტი ის არის, რომ ამ შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გადაფარა. გენგეგმის ჯგუფის, „სითი ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა, როგორც ოროსან, კლასში ჩარჩენილ ბავშვებს, ისე აუხსნეს, თუ რა არის გენგეგმა და როგორი უნდა იყოს. მთელი მერიის შემადგენლობა თავდახრილები იყვნენ. მერაბ ბოლქვაძის, „სითი ინსტიტუტის“ წარმომადგენლის გამოსვლა იყო ბრწყინვალე გამოსვლა, ანბანურ ჭეშმარიტებას უხსნიდა მათ.

– მერის მოადგილის, ილია ელოშვილის არგუმენტი რამდენად მისაღებია თქვენთვის, რომ „სითი ინსტიტუტის“ დოკუმენტში კერძო საკუთრება არ არის ასახული?

– ეს, იცით, როგორი სისულელეა? რომ ვთქვა – დოკუმენტში ცისარტყელას ფერები არ არის გათვალისწინებული! ან აქ არ არის ოკეანის სანაპირო ასახული! რა შუაშია, ეს არის რეკომენდაციების ერთობლიობა და კონკრეტული ამოცანები, მაგალითად, როგორ უნდა იმუშაოს გენგეგმამ, ქალაქმა როგორ უნდა იცხოვროს, ეს არის სწორედ ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების ანუ მერიის ფუნქცია. ამას თავი მათ უნდა გაართვან და არა – გენგეგმის დოკუმენტმა.

მათ დაწერეს თეორიული რეკომენდაციები, კონცეფცია, მაგრამ ეს როგორ უნდა განხორციელდეს და როგორ უნდა იმუშაოს, ეს მერიის პრეროგატივაა. ამიტომ არის ეს არგუმენტი სასაცილო. ელოშვილი ასევე ამბობდა, გენგეგმაში ავარიული კორპუსების მდგომარეობა რატომ არ არის აღწერილიო. ელოშვილის და მერის გამოსვლა იყო ოროსნების გამოსვლა, გაგებაში რომ არ არიან.

– კალაძემ თქვა, უახლოეს მომავალში გადაწყდება, გენგეგმის პროექტი „სითი ინსტიტუტთან“ გაგრძელდება თუ არა. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ამიტომ ვამბობ, რომ დარწმუნებული ვარ, გენგეგმის მიღებას ჩააგდებენ. რა იქნება ალტერნატივა? უნდა გამოცხადდეს ახალი ტენდერი, სანამ გაიწერება სატენდერო დავალებები, შემდეგ გამარჯვებული კომპანია უნდა გამოვლინდეს, შემდეგ ეს კომპანია სანამ კონცეფციას დაწერს, შემდეგ სანამ ამ კონცეფციის განხილვა მოხდება, გაივლის კიდევ სამი წელი. ეს არის მიზანი. ამასობაში კი ქალაქი აღარ დაგვრჩება.

– კალაძის მერობის ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი შეიძლება გენგეგმის მიღება გახდეს?

– მე მაინც ვფიქრობ, რომ გენგეგმის მიღება ჩავარდება. ეს იქნება „ქართულ ოცნებაში“ მოკალათებული დეველოპერების, სინამდვილეში კი „ცეხავიკების“ გამარჯვება. სწორედ ამ „ცეხავიკებმა“ დაამარცხეს ძალიან კარგი დოკუმენტი.

ძალადობა 13 წლის მოზარდზე – საბურთალოზე უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავეს

თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქემ არასრულწლოვან 13 წლის ბავშვზე იძალადა. როგორც ბავშვის ოჯახის წევრი აცხადებს, დამნაშავეს ბავშვი ლიფტში ჰყავდა დაჭერილი, მისივე ინფორმაციით, არასრულწლოვანს თვალებიდან სისხლი სდიოდა.

– სისხლიანი იყო ბავშვი, თვალებზე აფარებული ჰქონდა ხელები და სახეზე სისხლი ჰქონდა. სკოლიდან მოდიოდა ბავშვი, ვკვდები ბებო, მშვიდობითო, მეძახდა. დაბრმავებული ბავშვი ხელებში ჩამივარდა. დამნაშავე დაიჭირეს, უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ლიფტში დაუჭერია და ლიფტი გაუჩერებია, ბავშვი 13 წლისაა, მერვე კლასშია, ტვინის შერყევა აქვს, ოღონდაც დაბრმავებული არ იყოს, თვალებიდან სისხლი სდიოდა, – აცხადებს მოზარდის ბებია ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში.

როგორც იაშვილის კლინიკის ექიმმა აღნიშნა, ბავშვს მხედველობა მარჯვენა თვალში დაქვეითებული აქვს და კლინიკური ტვინის შერყევა აღენიშნება.

– კონტაქტურია ბავშვი, ამჟამად უტარდება კვლევები. აღენიშნება ტვინის შერყევის კლინიკური ნიშნები. მხედველობა მარჯვენა თვალში დაქვეითებულია, კვლევების შემდეგ გადაწყდება, პაციენტი მოთავსდება ჩვენთან თუ გადავა თვალის სპეციალიზებულ კლინიკაში, – აცხადებს ექიმი.

❖ ❖ ❖

შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ძალადობის ფაქტზე 1 პირი დააკავა.

– მიმდინარე წლის 28 მარტს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1996 წელს დაბადებული რ.ა. არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტზე დააკავეს. დანაშაული თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე ისჯება.

112 -ში შევიდა შეტყობინება, რომ არასრულწლოვან ბიჭს დახმარება სჭირდებოდა. საპატრულო ეკიპაჟი დაუყოვნებლივ გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე.

პატრულ-ინსპექტორებს საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, დაახლოებით 13 წლის ბიჭი დახვდათ, რომელსაც სხეულზე დაზიანება აღენიშნებოდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ არასრულწლოვანი საავადმყოფოში გადაიყვანა. გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ აზერბაიჯანის მოქალაქემ 2004 წელს დაბადებულ ნ.ც.-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

პოლიციამ უცხო ქვეყნის მოქალაქე ადგილზე დააკავა. გამოძიების ფარგლებში დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ძალადობას გულისხმობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ჩაჩანიძე გადააყენეს

ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ჩაჩანიძე 19 ხმით 2-ის წინააღმდეგ თანამდებობიდან გადააყენეს.

ბორჯომის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ზაზა ჩაჩანიძე მის იმპიჩმენტს ეხმაურება და აცხადებს, რომ მისმა თანაგუნდელებმა დავალებები პარტიის ლიდერებისგან მიიღეს და ისინი „ქართულ ოცნებას“ გაურიგდნენ.

– მე ვულოცავ ირმა ინაშვილს და პატრიოტთა ალიანსს, რომ მთლიანი ლუსტრაცია გააკეთეს, რაც არიან და რა ოპოზიციური ძალაც არის. მე მინდა ჩემს ყოფილ მოადგილეს მოვუწოდო, გიორგი გოგიჩაიშვილს, რომ გიორგი, ისეც დაგნიშნავენ ამ თამაშში და ძალიან თავს ნუ მოიჭრი, ხუთი შვილის მამა ხარ, რა. უბრალოდ, ჩვენ გვისაუბრია ამ თემებზე და რაღაც გაოგნებული სახით ნუ აცხადებ, რომ ეს არ არის თამაშები. დაგნიშნავენ, ნუ ნერვიულობ. ნუ გააკეთებ იმას, რომ ამ ქალაქში არ გამოგეყოფოდეს თავი, – აცხადებს ზაზა ჩაჩანიძე.

ჩაჩანიძის თქმით, ის დარჩება საკრებულოში და ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად გააგრძელებს საქმიანობას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით დონდუა: „არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე ვერც რუსეთის, ვერც ცხინვალის წარმომადგენლებისგან ვერაფერი შინაარსიანი ვერ მოვისმინეთ“

– არჩილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით ცხინვალის და რუსეთის წარმომადგენლებს სათქმელი, სამწუხაროდ, არაფერი ჰქონდათ, – ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ ჟენევაში განაცხადა.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, დღევანდელი შეხვედრის საუბრის მთავარი თემა სწორედ ცხინვალში არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა იყო, თუმცა, დონდუას თქმით, ამ საკითხზე შინაარსიანი „ვერაფერი მოისმინეს“.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, როგორც დაგეგმილი გვქონდა, პირველ სამუშაო ჯგუფში მთავარი აქცენტი გავაკეთეთ არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე, რაზეც, სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი შინაარსიანი ვერ მოვისმინეთ და ვერ გავიგეთ ვერც რუსეთის, ვერც ცხინვალის წარმომადგენლებისაგან. ცხინვალის წარმომადგენლებმა იგივე განცხადება წაიკითხეს, რასაც თავის დროზე აკეთებდნენ, სრულიად აბსურდული, ანუ ახალი ამის თაობაზე არაფერი თქმულა. ჩვენი და ამერიკელი თანათავმჯდომარეების მხრიდან ძირითადი დრო ამ საკითხის განხილვას დაეთმო, თუმცა, როგორც გითხარით, ცხინვალის და რუსეთის წარმომადგენლებს არაფერი სათქმელი ამასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, არ ჰქონდათ, – განაცხადა დონდუამ.

მინისტრის მოადგილის თქმით, მომხდარზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმან უნდა აიღოს, ვინც არის ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი და ეს არის რუსეთის ფედერაცია.

– აქ სასამართლო პროცესი არ არის. ჩვენ ვამტკიცებთ იმას, რომ მოხდა მკვლელობა, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, რომელიც უკანონოდ იყო დაკავებული. ახლა ჩვენთან მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც უნდა დასრულდეს და არავინ ხელი არ უნდა შეუშალოს მის დასრულებას. ფაქტი ერთია, რომ ადამიანი არის ნაწამები და ახლა უნდა მოხდეს ამის გამოძიება და ის ვინც არის დამნაშავე, უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე. რასაც გამოძიება არ სჭირდება, ეს არის ის, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს იმან, ვინც არის ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი, ეს არის რუსეთის ფედერაცია. ჩვენი განცხადების ადრესატები იყვნენ სწორედ რუსეთის წარმომადგენლები. გითხარით, რომ არც რუსეთს აუღია არანაირი ვალდებულება და არც ცხინვალის წარმომადგენლებისგან მოგვისმენია რაიმე ახალი, გარდა იმისა, რასაც ისინი ბოლო ერთი თვის განმავლობაში ცდილობდნენ, რომ რაღაც განმარტება გაეკეთებინათ, – განაცხადა დონდუამ.

მეორე დღეა ჟენევაში მოლაპარაკებების 43-ე რაუნდი მიმდინარეობს.

❖ ❖ ❖

„ძალის გამოუყენებლობაზე კონსტრუქციულ მსჯელობას რუსეთმა ყველანაირად თავი აარიდა“

– ძალის არგამოყენების თაობაზე რუსეთმა ყველანაირად თავი აარიდა კონსტრუქციულ მსჯელობას და ეს გააკეთა იმიტომ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ის ფუნდამენტური პრინციპები, რაზეც დამყარებულია ჟენევის მოლაპარაკებები, – ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დავით დონდუამ ჟენევის მოლაპარაკებების 43-ე რაუნდის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხის განხილვა დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული, თუმცა, რუსეთი ჯერ კიდევ დღის პირველ ნახევარში ცდილობდა საკითხისთვის თავის არიდებას. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, ერთიან განცხადებასთან დაკავშირებით საგნობრივი განხილვა წარმოუდგენელი გახდა.

– ძალის არგამოყენების თაობაზე რუსეთმა ყველანაირად თავი აარიდა კონსტრუქციულ მსჯელობას და ეს გააკეთა იმიტომ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ის ფუნდამენტური პრინციპები, რაზეც დამყარებულია ჟენევის მოლაპარაკებები ანუ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ის შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა 2008 წლის 12 აგვისტოს და რომელიც მოხერხდა ევროკავშირის მედიატორობით.

ყოველივე ამის შემდეგ რთული იყო საგნობრივი მსჯელობა ერთიან განცხადებასთან დაკავშირებით, ასე რომ, ამ რაუნდზე წინ ვერაფრით წავიწიეთ, – განაცხადა დავით დონდუამ.

ჟენევაში მეორე დღეა მოლაპარაკებების 43-ე რაუნდი მიმდინარეობს. მასში მონაწილეობს საქართველოს, რუსეთის, შეერთებული შტატების, ევროკავშირის, ოკუპირებული აფხაზეთისა და ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები.

მთავრობა პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკის ფლობაზე პატიმრობას კვლავ შესაძლებელს ტოვებს

EMC აცხადებს, რომ ნარკოპოლიტიკის ალტერნატიული კანონპროექტი, რომელიც 27 მარტს უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე წარმოადგინეს, რადიკალურად განსხვავდება „ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის“ კანონპროექტისგან, რომელიც 10 თვეზე მეტია პარლამენტში არის რეგისტრირებული.

მათივე განცხადებით, უწყებათაშორისი კომისიის წევრებმა, გარდა საბჭოს იმ წევრებისა, ვინც პარლამენტში უკვე რეგისტრირებული კანონპროექტის ინიციატორები არიან, ამ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს.

– პროკურატურის მომზადებული კანონპროექტი შეეხება ნარკოტიკული ნივთიერების დოზების ცვლილებას იმ მიზნით, რომ ცარიელი/მოხმარებული შპრიცის გამო ადამიანები წლობით ციხეში არ მიდიოდნენ. ამ კანონპროექტით არსებული ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილება ვერ მოხდება. კანონპროექტი ასწორებს მხოლოდ ერთ ანომალიას, რაც ქართულ ნარკოპოლიტიკას ახასიათებს, თუმცა უგულებელყოფს მთელ რიგ უსამართლობებს და სისტემურ პრობლემებს არსებულ ნარკოპოლიტიკაში. სამწუხაროა, რომ უწყებათაშორისი საბჭოს წევრები დაეთანხმნენ საკანონმდებლო ცვლილებების ფრაგმენტულად განხორციელებას.

მიგვაჩნია, რომ არასწორი და პრაქტიკულად გაუმართლებელია, ერთმანეთისგან განცალკევებულად წარიმართოს მსჯელობა კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე. მსგავსი მიდგომა აუცილებლად გამოიწვევს პრობლემის არასწორ აღქმას და, შესაბამისად, დაგეგმილი რეფორმის იდეის დაზიანებას.

რეფორმის ავტორები და მხარდამჭერები გასული თვეების განმავლობაში ვდგამდით ნაბიჯებს იმისთვის, რომ პრინციპულ საკითხებზე სახელმწიფო უწყებებთან კონსენსუსი მიღწეულიყო და რეალური რეფორმის გატარება შესაძლებელი გამხდარიყო. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რამდენიმე ათეული ორგანიზაციის ავტორობითა და პარლამენტის ხუთი წევრის ინიცირებით, პარლამენტში რეგისტრირებული კანონპროექტი გვერდზე გადადოს, მის ნაცვლად კი მუშაობა გაგრძელეს დავიწროებულ, ფრაგმენტულ კანონპროექტზე, რომელიც ერთი კონკრეტული მიმართულებითაც კი (ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობები) სრულად ვერ აგვარებს არსებულ პრობლემებს და კვლავაც შესაძლებელს ტოვებს, ადამიანების პატიმრობაში ყოფნას პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის.

ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, აჩვენებს სრულიად არაჯანსაღ დამოკიდებულებას იმ პროცესის მიმართ, რომელშიც ჩვენ, სახელმწიფო უწყებებთან ერთად, არაერთი თვის განმავლობაში ვიყავით და შრომა გავწიეთ იმისთვის, რომ კონსენსუსი მიღწეული ყოფილიყო.

კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, ჩვენ არაერთხელ დავთანხმდით პროცესის დროში გახანგრძლივებას, რამაც რეალურად მხოლოდ რეფორმის გაჭიანურება და მისი შინაარსის დაკნინება მოიტანა. კრიტიკულ მომენტში, როცა პარლამენტმა უნდა განაახლოს პლატფორმის კანონპროექტზე მსჯელობა, ხელისუფლების მხრიდან სტრატეგიის ცალმხრივი ცვლილება და პროცესში ჩართული არაერთი ჯგუფის მოთხოვნის იგნორირება, პროცესის ლეგიტიმურობას საეჭვოს ხდის. ამავდროულად, სამართალდამცავების მიერ შემოთავაზებული ხედვა უგულებელყოფს მოქალაქეთა მრავალწლიან და სამართლიან მოთხოვნას, ფუნდამენტურად შეცვლილიყო სადამსჯელო, რეპრესიაზე დამყარებული ნარკოპოლიტიკა ქვეყანაში, – აცხადებს EMC.

ოპოზიცია კალაძეს ტყუილში ადანაშაულებს

საპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ პარლამენტში, გენგეგმის განხილვაზე დღეს ოპოზიცია არ მიუწვევიათ. „ევროპული საქართველოს“ წევრი ელენე ხოშტარია ამბობს, რომ კალაძემ მოიტყუა, როდესაც თქვა, რომ შეხვედრაზე ოპოზიცია მიიწვია, თუმცა ისინი თავად არ გამოცხადდნენ.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ქალაქის მერი, ბატონო კახი კალაძე უნდა ვამხილო კონკრეტულ ტყუილში, რომელიც მან დღეს თქვა, რომ თითქოს ოპოზიცია არ მივიდა პარლამენტში გენგეგმის განხილვაზე. თითქოს ჩვენ კითხვები არ გვაქვს. სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ, ოპოზიცია, შეხვედრაზე მიწვეულები არ ვიყავით. შეხვედრის დაწყებიდან 12 წუთში თვითმმართველობის აპარატმა დარეკა ჩვენთან და თქვა, რომ შეგვიძლია შეხვედრაზე მივიდეთ. ეს არის მიზანმიმართული ტყუილი იმიტომ, რომ კალაძემ მართლა ძალიან ცუდ მდგომარეობაში მოიმწყვდია ამ გენგეგმასთან დაკავშირებით თავი. მათ შეხვედრა დახურეს. მათ არ უნდათ კრიტიკის გაგება, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

იგივეს აცხადებენ „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ და ტყუილში თბილისის მერთან ერთად, უმრავლესობის ლიდერ თალაკვაძესაც ადანაშაულებენ:

„ამხანაგ თალაკვაძეს და ამხანაგ კალაძეს, ან გაასაჯაროვონ მოწვევა თუ რა ფორმით გამოგვიგზავნეს და რა ფორმით დაგვპატიჟეს, ანდა საზოგადოებას მოუხადონ ბოდიში იმიტომ, რომ მათ როგორც კომპარტია, ისე ყაზარმულ რეჟიმში ჩაატარეს ფაქტობრივად გენერალური გეგმის განხილვა“ – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

თბილისის მერმა პარლამენტში გენგეგმის განხილვის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ მიუხედავად მოწვევისა, შეხვედრაზე ოპოზიცია არ მივიდა. შეხვედრას ესწრებოდნენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები.

ევროკავშირის ოთხმა ქვეყანამ რუსეთიდან ელჩები გამოიწვია კონსულტაციებისთვის

ევროკავშირის 4-მა ქვეყანამ სლოვაკიამ, ლუქსემბურგმა, მალტამ და პორტუგალიამ სკრიპალის საქმის გამო რუსეთში ელჩებს სამშობლოში დაბრუნების რეკომენდაცია მისცა. სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში რუსეთიდან ელჩის გამოწვევის პირველი შემთხვევაა.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სკრიპალის საქმეზე ბრიტანეთის პოზიციას ქვეყნის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელთანაც განიხილავს. დანარჩენი სამივე ქვეყნის მთავრობებმა ასევე გააკეთეს განცხადება, რომ სოლიდარობას უცხადებენ ბრიტანეთს და სკრიპალის საქმეში ლონდონის ბრალდებებს სერიოზულად განიხილავენ.

გრიგორი კარასინი: „ვფიქრობთ, როგორ შევწყვიტოთ რაღაც ტექსტის განხილვა და ვისაუბროთ გეგმებზე“

ამიერკავკასიის საკითხებზე ჟენევის დისკუსიების მორიგი რაუნდი ივნისში გაიმართება. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა განუცხადა. მისი ცნობით, დისკუსიის მონაწილეები ფორმატის გადახედვას აპირებენ.

– ჩვენ მოვილაპარაკეთ, აქ შევხვდეთ ივნისში და შესაძლოა, ვიფიქროთ, როგორ განვახორციელოთ ჟენევის დისკუსიების ფორმატი, რათა შევწყვიტოთ რაღაც ტექსტის განხილვა და ვისაუბროთ რაღაც ერთობლივ პროექტებსა და მოქმედებათა გეგმებზე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის, – განაცხადა კარასინმა.

მისივე თქმით, ასეთი ფორმატის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა, ასევე, ვაჭრობის დამყარების შესახებ საკითხების განხილვა.

– ჩვენთან სულ მალე იგეგმება შვეიცარიულ ფირმასთან შეთანხმების ძალაში შესვლა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გააფორმა, ჩვენ კი, ვფიქრობ, უახლოეს კვირებში მოვანერთ ხელს და დავიწყებთ ამ პროექტის რეალიზებას. ის შეიძლება გაუარესების მორიგი წერტილი იყოს, მაგრამ გვსურს, რომ ეს რეალურად მოქმედი სქემა იყოს, რომელიც დაგვეხმარება დავამყაროთ საგაჭრო-ეკონომიკური კავშირები მთლიანად რეგიონში, – განაცხადა ლავროვის მოადგილემ. მანვე დასძინა, რომ საუბარი შესაძლებელია შეეხოს, ასევე, საგანმანათლებლო პროექტებსაც.

ვახტანგ მაისაია: „საქართველო დასავლეთსა და რუსეთს შორის ახალი ცივი ომის ეპიცენტრში ექცევა“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მალე საქართველო აღმოჩნდება არჩევანის წინაშე, როცა მკაფიოდ და ღიად უნდა დააფიქსიროს, დასავლეთი თუ რუსეთი.

– დასავლეთსა და რუსეთს შორის იქმნება ვითარება, როცა საქართველოსთვის მანევრირების ფანჯარა ამოიქოლება. ადრე არსებული ვითარება, საქართველოსთვის მანევრირების საშუალებას იძლეოდა. აქამდე საქართველოს შეეძლო ვითარების გამოცნობა და მანევრირება. დღეს ეს ფანჯარა თანდათანობით იქოლება. საქართველოსთვის დღეს უკვე დგება მომენტი, როცა ან აქეთ უნდა იყოს, ან – იქით.

მანევრირების ფანჯრის ამოქოლვას იწვევს რუსეთსა და დასავლეთს შორის ღიად არსებული ახალი ცივი ომი. ჩვენი ქვეყანა ექცევა დასავლეთსა და რუსეთს შორის ახალი ცივი ომის ეპიცენტრში, – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

– ბატონო ვახტანგ, დღეს რუსეთის წინააღმდეგ დიპლომატებით ომია გაჩაღებული, ბრიტანეთის მხარდასაჭერად დასავლეთის ქვეყნები რუს დიპლომატებს აძევებენ. ევროპისა და, საერთოდ, დასავლეთის ძალისხმევა, რაც დიპლომატების მასობრივ გამოძევებაში გამოიხატა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რაიმე შედეგის მომტანი იქნება?

– რუსეთმა ამით უფრო გაიძლიერა პოზიციები. დასავლეთთან კონფრონტაცია პუტინმა შეიძლება საშინაო მოხმარებისთვის უფრო კარგად გამოიყენოს და ერთგვარად კიდევ უფრო გაიძლიეროს თავისი პოზიციები ქვეყნის შიგნით.

– საპასუხოდ თუკი პუტინი ყველა ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს შეზღუდავს და დიპლომატების რაოდენობას შეამცირებს დასავლეთის ქვეყნებიდან გამოძევებული დიპლომატების ოდენობის შესაბამისად, თვითონ პუტინი და რუსეთი იზოლაციაში არ მოექცევა?

– იზოლაციაში მოექცევა, მაგრამ ეს პუტინს მაინცდამაინც ბევრად არ ანაღვლებს. პუტინის რეჟიმი ავტორიტარულ-ავტოკრატიულია. ის აკმაყოფილებს ავტორიტარული რეჟიმის პირობებს. იზოლაცია პუტინის ავტორიტარულ ფენომენს შეიძლება წაადგეს კიდეც.

– როგორ?

– პუტინისთვის დასავლეთთან კონფრონტაცია ერთგვარი პანაცეაა. როგორც საბჭოთა აქტორმა, პუტინმა თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადისას მიზნად დაისახა დასავლეთთან კონფრონტაციაში შესვლა, რათა, ფაქტობრივად, ამით დაეფიქსირებინა რუსეთის ძლევამოსილების ფაქტორი. პუტინი იმაზე აკეთებს აქცენტს, რომ ის იყო საბჭოთა მოქალაქე. მან კიდევაც უწოდა საბჭოთა კავშირის დანგრევას გეოპოლიტიკური კატასტროფა. პუტინის მიზანი იყო დასავლეთთან ურთიერთობის გაუარესების ფონზე რუსეთის ძლევამოსილების წარმოჩინება.

ელცინი სულ სხვა პლატფორმით მოვიდა. მას სურდა დასავლეთის თანასწორი და პარტნიორი ყოფილიყო. მან, გარკვეულწილად, მიზანს მიაღწია. რუსეთი დიდი რვიანის წევრი სახელმწიფო გახდა. ფაქტობრივად, რუსეთთან ურთიერთობისთვის სპეციალური მექანიზმები შემუშავდა ევროკავშირი-რუსეთის ფორმატი, ნატო-რუსეთის ფორმატი. ელცინის დროს დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობა პარტნიორულ დონეზე იყო, მაგრამ ეს ყველაფერი პუტინმა წყალს გაატანა.

პუტინი უფრო პრიმაკოვის საგარეო პოლიტიკური კურსის გამგრძელებელია, რომელიც ულტრაპატრიოტული და ულტრანაციონალურია შიდა მოხმარებისთვის. პუტინი თავისი კუთხით რეტროგრადი და საბჭოთა კონსერვატორია. ევრაზიული დოქტრინის განხორციელება მისი მთავარი ამოცანაა. პუტინისთვის ევროპისაგან იზოლაცია ბუნებრივი პასაჟია. პუტინი, როგორც საბჭოთა ტიპაჟი, დასავლეთთან ურთიერთობაში ნეოიზოლაციონალურ ვითარებაში ყოფნას არჩევს.

– მაშინ დასავლეთის ამ დემარშებს რა აზრი აქვს და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს?

– არაფერი. დასავლეთმა, უბრალოდ, ევროპული სოლიდარობა გამოხატა. ამ დროისთვის 14 ევროპულმა სახელმწიფომ გამოაძევა რუსი დიპლომატები. ეს ძირითადად ის სახელმწიფოებია, რომლებსაც რუსეთთან პირდაპირი პრობლემები აქვთ. პოლონეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა და სხვა ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებმა. ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებს მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ზოგიერთმა სახელმწიფოებმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს რუსეთისა და პუტინის მიმართ. ეს ის სახელმწიფოებია, რომლებიც ევროკავშირის ნაწილს წარმოადგენენ.

– საინტერესოა, რუსეთს და პუტინს რატომ არ აღელვებთ ევროპის დიპლომატიური დემარშები. მაშინ პუტინს რა აღელვებს?

– პუტინი აღელდებოდა თუ არჩევნებში 70%-ზე ნაკლებს მიიღებდა. თუ არჩევნებზე ამომრჩევლების ცოტა რაოდენობა მივიდოდა, პუტინისთვის ეს იქნებოდა საკმაოდ ძლიერი დარტყმის მიმყენებელი ფაქტორი. პუტინს აღელვებს, კემეროვოს ტრაგედიას როგორი გამოხმაურება ექნება. პირიქით, დასავლური იზოლაციონისტური პოლიტიკითა და ალყაში მოქცევით, პუტინი რუსეთის ეკონომიკურ ჩავარდნებს გაამართლებს. დასავლეთის მიერ რუსეთის იზოლაციაში მოქცევა პუტინის მიზნებისა და გეგმების ერთგვარი ხორცშესხმის, მისი ამბიციური ავტოკრატიული პოლიტიკის ერთგვარი გამამართლებელი არგუმენტია. დასავლეთთან კონფრონტაცია პუტინს ხელს აძლევს.

– გასაგებია, რომ არსებული ვითარება პუტინისთვის ხელსაყრელია, მაგრამ რუსეთისთვის დასავლეთისაგან იზოლაცია რას ნიშნავს?

– სამწუხაროდ, უმრავლესობამ პუტინს დაუჭირა მხარი. რუსეთის ფედერაციაში სხვა არჩევნების დროს ასეთი აქტიურობა არ დაფიქსირებულა. სოციუმის 65%-იანი აქტივობა იყო.

– არ გაუყალბებია?

– გაყალბებასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მასობრივ და დიდ გაყალბებას – არა. მოსახლეობამ, სამწუხაროდ, პუტინს მართლა დაუჭირა მხარი. მოსახლეობამ და საზოგადოებამ ვერ დაინახა ალტერნატიული კანდიდატი და პუტინის შემცვლელი.

– რუსეთის იზოლაცია ქვეყანას დაშლის გზაზე ვერ დააყენებს.

– რუსეთის დაშლაზე საუბარი ნაადრევია. არა მგონია, რუსეთის დაშლა ჩვენთვის შვება იყოს, რადგან არავინ იცის, რა ვითარება შეიქმნება ჩრდილო კავკასიაში. თანაც რუსეთის იზოლაცია ნაკლებად ადარდებს. ის ცდილობს, ვთქვათ, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა ააწყოს. სამწუხაროდ, რუსეთს დასავლეთის ფლანგზეც ჰყავს თავისი პოზიტიურად მოთამაშე აქტორებიც.

– მაგალითად?

– ესპანეთი, იტალია და უნგრეთი, რომლებიც რუსეთთან კონფრონტაციაში მაინცდამაინც არ შევიდნენ.

– დასავლეთმა, ამერიკამ შეძლო, რომ რუსეთი სირიის ფლანგზე შეევიწროებინა?

– ვერ ვამჩნევ, რომ რუსეთის ფლანგი სირიაში შევიწროვებულია. ასადის რეჟიმის წარმომადგენლებმა რამდენიმე ისეთი ოპერაცია ჩაატარეს, რითაც გაიმყარეს პოზიციები. ამის ფონზე პოზიცია გაიმყარა თურქეთმაც, რომელმაც აიღო აფრინის პროვინცია და ჩრდილოეთ ერაყის აღებაზე ოცნებობს. ამ ფონზე რუსეთმა შეძლო რამდენიმე გეოპოლიტიკური სვლა გაეკეთებინა – ერთი მხრივ, შექმნა რუსეთი-თურქეთი-ირანის კავშირი, მეორე მხრივ – ირანი-აზერბაიჯანი-რუსეთის კავშირი.

– დასავლეთსა და რუსეთს შორის შექმნილი ვითარება რა გავლენას მოახდენს საქართველოს მდგომარეობაზე?

– ის დამოკიდებულება, რაც ადრე იყო დასავლეთსა და რუსეთს შორის, საქართველოსთვის მანევრირების საშუალებას იძლეოდა. აქამდე საქართველოს შეეძლო ვითარების გამოცნობა და მანევრირება. დღეს ეს ფანჯარა თანდათანობით იქოლება. საქართველოსთვის დღეს უკვე დგება მომენტი, როცა ან აქეთ უნდა იყოს, ან – იქით.

– მანევრირების ფანჯრის ამოქოლვას რა განაპირობებს?

– ღიად არსებული ახალი ცივი ომი. ჩვენ ვართ ახალი ცივი ომის ეპიცენტრში.

– ამ სიტუაციაში საქართველომ რა უნდა გააკეთოს? თქვენ ამბობთ, რომ საქართველო დადგება არჩევანის წინაშე. მან უნდა აირჩიოს ან – რუსეთი, ან – დასავლეთი.

– დასავლეთს, ამერიკას შეუძლია ჩვენი უსაფრთხოების დაცვა. არც ევროკავშირს და არც რომელიმე გლობალურ მოთამაშეს არ შეუძლია რუსეთის შეკავება. მხოლოდ ამერიკა რჩება, რადგან ევროპაში რუსეთის მიმართ ერთგვარი დამოკიდებულება არ არის. ნატოში შესვლისთვის დალოდება, დიდ დროს წაიღებს. ამერიკასთან პირდაპირი პარტნიორული ურთიერთობა უნდა გავაღრმავოთ. ეს არის ერთ-ერთი ალტერნატიული ვარიანტი. სხვაგვარად რუსეთის სამხედრო მანქანას ვერ შევაჩერებთ. ჩვენ ვცადეთ რუსეთის შეჩერება, მაგრამ რა გამოგვივიდა, ყველამ იცის.

– ამ ფონზე კვირიკა შვილის განცხადება, რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების თაობაზე, რა შედეგს მოიტანს?

– სიტუაცია ძალიან გართულდა. თუმცა, ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი ურთიერთობა უნდა გვქონდეს. ამ კუთხით ძალიან დიდი დრო დავკარგეთ.

დავით ჯანდიერი: „თეა წულუკიანმა თანამდებობა უნდა დატოვოს“

იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ჯანდიერი მიიჩნევს, რომ თეა წულუკიანმა თანამდებობა უნდა დატოვოს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჯანდიერმა განუცხადა, როგორც დადასტურდა, თეა წულუკიანი მფარველობდა პაპუნა უგრეხელიძეს, რომელსაც სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ.

– ის ფაქტები, რომლებიც გახმაურდა, ერთადერთი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას უტოვებს „ქართულ ოცნებას“, რომ იუსტიციის მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ამ ფაქტებზე, ეს ადამიანი ... [illegible] ... ეს ამბავი არ გამხდარიყო საჯარო.

ის მფარველობდა პირს, რომელიც რეალურად სახალხო დამცველის მიერ არის მხილებული სექსუალურ შევიწროებაში. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, რომ ქვეყნის იუსტიციის მინისტრს წლების განმავლობაში მუდმივად ამხელდნენ შრომითი უფლებების დარღვევაში, არა ერთხელ გავრცელებულა ინფორმაცია ამის შესახებ მედიის მეშვეობით. ეს ყველაფერი არის მაგალითი იმის, რომ იუსტიციის სამინისტროში არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც თანამშრომელს, თუ მინისტრისგან მფარველობა არ აქვს, ჩაგრავენ, – განაცხადა ჯანდიერმა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უკვე ყოფილ თავმჯდომარე პაპუნა უგრეხელიძეს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ. პაპუნა უგრეხელიძემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პოსტი დატოვა და მისი მისამართით გამოთქმული ბრალდებები შურისძიების მოტივით ახსნა.

იმერეთიდან რაჭამდე მანძილი ერთი საათით შემცირდება

საჩხერე-ონის დამაკავშირებელი გზის პირველ მონაკვეთზე მშენებლობა უკვე დაიწყო. ამის შესახებ „ბიზნეს-პრესნიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი სეთურიძემ განუცხადა.

– პირველ მონაკვეთზე კონტრაქტორები უკვე შერჩეული გვყავს – სამშენებლო კომპანია „მამისონი“. პირველ მონაკვეთზე საჩხერე-ქვემო ხევი სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ჯერ მაგისტრალური წყალსადენის გაყვანის პროცედურები მიმდინარეობს, შემდეგ უკვე ჩვენ განვაგრძობთ. საბოლოო სამუშაოების დასრულების ვადა 2019-20 წლებია, – აღნიშნავს სეთურიძე.

სახელმწიფო მნიშვნელობის გზის მშენებლობაზე საუბარი ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო. იმ დროისთვის პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდს უნდა განეხორციელებინა. გზის მშენებლობისთვის რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტი განიხილებოდა: საჩხერე-მოხვა-შხივანა-ხოტევი-ამბროლაური; საჩხერე-ჭიათურა-ხრეითი-თლუღი-ამბროლაური;

საჩხერე-მოხვა-ფუტიეთი-ამბროლაური და საჩხერე-უზუნთა-შქმერი-ონი. მოგვიანებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან ეს ინფორმაცია გაქრა.



გიორგი სეთურიძის ინფორმაციით, არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა. საჩხერე-უზუნთა-შქმერი-ონის ასაშენებელი გზის სიგრძე – 52 კილომეტრია. მას ექნება გადასასვლელი უღელტეხილზე ზღვის დონიდან 1898 მეტრის სიმაღლეზე.

რაც შეეხება მშენებლობის სავარაუდო ღირებულებას, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, პირველი მონაკვეთის – საჩხერე-ქვემო ხევის ღირებულება 7.926.930 ლარია. მთლიანობაში პროექტის ღირებულება რამდენი იქნება, ეს უცნობია.

საჩხერე-რაჭის გზის საპროექტო სამუშაოები ტენდერით გამოვლენილმა ხორვატიული კომპანიის ქართულმა ფილიალმა სს „ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ ჩაატარა. საპროექტო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3.743.761 ლარით დაფინანსდა.

ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პროექტების ნუსხაში შედის (2016 წლის 16 აპრილის, საქართველოს მთავრობის № 655 განკარგულება). როგორც ცნობილია, აღნიშნულმა გზამ საჩხერე-რაჭის მიმართულებით მგზავრობა დაახლოებით ერთი საათით უნდა შეამციროს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ვითხოვ, ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებმა ჩაიტარონ ნარკოტესტირება“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე მთელ სახელისუფლებო შტოებში ნარკოტესტირების ჩატარებას ითხოვს. ამასთან „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება პორტუგალიის მოდელის გადმოტანას საქართველოში და წარმოადგენს ახალ მიდგომას.

– ბატონო დიმიტრი, საზოგადოებაში კვლავ დაიწყო საუბარი ნარკოპოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით. როგორც ვიცი, თქვენ უკმაყოფილო ხართ, ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით პარლამენტმა აქამდე კანონი რომ არ მიიღო.

– მე გამოვთქვამ სრულიად ახალ მიდგომას ნარკოტიკებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, მე ვეწინააღმდეგები პორტუგალიის მოდელის გადმოტანას და ჩვენს ქვეყანაში პროექტირებას იმ წესით და პირობით, რა პირობითაც კანონი თავად პორტუგალიაში მოქმედებს.

– კერძოდ, როგორია პორტუგალიის მოდელი?

– საკითხი ეხება ახალი ტერმინის დანერგვას. ეს ტერმინი გულისხმობს პირადი მოხმარების დოზის ტერმინის გაჩენას. ტერმინ „პირადი მოხმარების დოზის“ გაჩენასთან ერთად საკითხი ეხება ასევე უკლებლივ ყველა ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციას, ერთჯერადი მოხმარების დოზის, რამდენიმეჯერადი დღიური მოხმარების დოზის, ჯიბეში ტარების შემთხვევაში.

– კერძოდ, ამ დროს რა ხდება?

– არის სამი ფსიქოაქტიური ნარკოტიკების ჯგუფი, რომელიც დადგენილია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. სამივე ფსიქოაქტიური ნარკოტიკების ჯიბეში ტარების შემთხვევაში, თუ ის დოზა არ აღემატება ე.წ. ერთჯერადი მოხმარების დოზას, პირი არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

– კონკრეტულად, რომელ ნარკოტიკზეა ეს დაშვება?

– ეს დაშვება იქნება ოპიუმზე, კოდიუმზე, ჰეროინზე, კოკაინსა თუ ნებისმიერ სხვა ნარკოტიკულ საშუალებაზე და სააფთიაქო ნარკომანიის ფარგლებში დამზადებულ ნარკოტიკებზე. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, ამ ნარკოტიკების შეძენა-შენახვა ერთჯერადი დოზით სისხლის სამართლებრივად აღარ იქნება დასჯადი. ეს არის ყოვლად წარმოუდგენელი და ყოვლად დაუშვებელი, რადგან ამით ნარკომომხმარებლების რიცხვი კი არ მოიკლებს, არამედ მოიმატებს. უბრალოდ, მოიკლებს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის კრებსით მოცემული სტატისტიკა.

– პორტუგალიამ რა შედეგი მიიღო?

– პორტუგალიას პოლიტიკურად აწყობდა მომეტებული რაოდენობა სისხლის სამართლებრივი დევნისა, ადმინისტრაციული წარმოებით შეეცვალა. ამიტომ მიიღო რა კანონი, სისხლისსამართლებრივი დევნები შეწყდა და გადაინაცვლა რა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ფაქტობრივად, ნარკოდანაშაულზე სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობა შემცირდა. აქაც უნდათ მსგავსი რამ გააკეთონ. საქართველოში 200 ათასი ნარკომომხმარებელია. მათ შორის, 50 ათასი პრობლემური ნარკომომხმარებელია. მათ სჭირდებათ მუდმივი ჩანაცვლებითი პროგრამით სარგებლობა იმისთვის, რომ იარსებონ და იფუნქციონირონ საზოგადოებაში, როგორც ნარკოდამოკიდებულმა პირებმა.

იმის მაგივრად, რომ ჩვენი კანონმდებლობა და ნარკოპოლიტიკა, პირველ რიგში, გულისხმობდეს ნარკომომხმარებელთა რაოდენობის შემცირებას, 2017 წლის 28 დეკემბერს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა და მისმა თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ზოიძემ დანარჩენ ოთხ კოლეგასთან ერთად წარმოადგინა, დაუსჯელობის სინდრომით ნაკარნახევი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომაც არის, რომ უმრავლესობამ უარი თქვა ამ კანონპროექტის ამ სახით განხილვაზე იურიდიულ კომიტეტში, რომელიც არის წამყვანი კომიტეტი.

– განხილვები ხომ მიმდინარეობდა?

– აღნიშნული კანონპროექტი ერთადერთხელ წარადგინეს ჯანდაცვის კომიტეტში. მას შემდეგ სამი თვე გავიდა და იურიდიულ საკითხთა წამყვანი კომიტეტი უარს აცხადებს ამ კანონპროექტის ასეთი ფორმით განხილვაზე. ჩემთვის ეს გასაგებია, რატომ ამბობს უარს.

– რატომ ამბობს უარს?

– საზოგადოება აშკარად ნეგატიური განწყობებით შეხვდა ნარკოლეგალიზაციისა და ნარკოპროპაგანდის სულისკვეთებით გამსჭვალულ კანონპროექტს, რომელსაც ბატონი აკაკი ზოიძე უჭერს მხარს. თუმცა, კანონპროექტს მხარდაჭერა მთავრობისგანაც არ აქვს.

– ახლა თქვენ, პირადად რას სთავაზობთ?

– თუკი საუბარია იმაზე, რომ ერთჯერადი მოხმარების დოზა არ იყოს კრიმინალიზირებული და მხოლოდ ნარკომოხმარებისთვის ადამიანს არ უნდა ვიჭერდეთ, არ უნდა ვუშვებდეთ ციხეში, ეს ძალიან ბანალური მიდგომაა. ჩემი ექსკლუზივი არც ერთ მედიასაშუალებაში კრებსით არ დაწერილა.

– რა ექსკლუზივია?

– პირს, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელია და სამოქალაქო უფლებებში არ იზღუდება, ანუ მას, ერთი მხრივ, აქვს სურვილი და, აქედან გამომდინარე, უფლება, მოიხმაროს ნარკოტიკული საშუალება, ე.ი. ღიად მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, სახელმწიფო უნდა აწესებდეს გარკვეულ რეგულაციებს. კერძოდ, ნარკოტიკების ღიად მომხმარებელ პირს შეზღუდული უნდა ჰქონდეს მართვის მოწმობის მიღება, საჯარო სამსახურში დასაქმების უფლება, შეზღუდული უნდა ჰქონდეს მცირეწლოვან ბავშვებთან კონტაქტის უფლება. დღეს არავითარი რეგულაცია არ არსებობს. თუკი პირს სურს მოიხმაროს ნარკოტიკული საშუალება, მაშინ ის უნდა გახდეს დეკლარანტი. მან დეკლარირება უნდა მოახდინოს იმისა, რომ ის აპირებს ან მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას. თუკი პირი დეკლარირებას ახდენს, მაშინ სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება და ნარკომომხმარებელი აიყვანოს საკუთარი დახმარების ქვეშ (ანუ რეაბილიტაცია მოახდინოს და ა.შ), როგორც ეს განსაზღვრულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ.

– თუ პირი არ განაცხადებს, რომ ნარკოტიკებს მოიხმარს?

– თუ პირი დეკლარაციაზე უარს ამბობს, მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს, მაგრამ ცდილობს დასაქმდეს საჯარო სამსახურში, მართოს და განკარგოს ავტომანქანა, ჰქონდეს მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობა (მაგალითად, როგორც მშობელმა ბაღში, ან სკოლაში პატარა ბავშვს რომ მიაკითხოს), დაექვემდებაროს არა ადმინისტრაციულ, არამედ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს განსხვავებაა ჩემსა და მათ მიერ მოწოდებულ ფორმას შორის.

– ნარკომომხმარებლებს საჯარო სამსახურში საქმიანობა ისედაც ხომ ეკრძალებოდათ?

– დიახ, ეკრძალებოდათ და ეკრძალებათ დღესაც. საჯარო სამსახურში უნდა ტარდებოდეს შემოწმებები, რომელიც იმუნოფერმენტული ექსპერტიზის გზით ადგენს, მოიხმარს თუ არა საჯარო მოხელე ნარკოტიკულ საშუალებას. თუ საჯარო მოხელე ნარკომომხმარებელი აღმოჩნდება, მან სამსახური უნდა დატოვოს. ეს არის კანონის მოთხოვნა და არა მხოლოდ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში წერია, არამედ ორგანულ კანონში და საარჩევნო კოდექსშიც. საჯარო სამსახურში ნარკომომხმარებლის ადგილი ნამდვილად არ არის. ამაში ჩვენ არ გვეთანხმებიან აღნიშნული ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი წარმოდგენილი ინიციატივის ავტორები.

– საინტერესოა, რატომ უნდათ, და შვებული იყოს საჯარო სამსახურში ნარკომომხმარებლები? ნარკოტიკების გარეშე ვერ მუშაობენ და ნარკომომხმარებელი ჩინოვნიკები რას გააკეთებენ.

ნარკოტიკების ღიად მომხმარებელ პირს შეზღუდული უნდა ჰქონდეს მართვის მოწმობის მიღება, საჯარო სამსახურში დასაქმების უფლება

– გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ, ძალიან აქტიური თემა იყო კაზანტიპი. ელექტრონული მუსიკის ფესტივალის ჩატარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ე.წ. კლუბური ნარკოტიკის მასობრივი გამოყენების ფაქტები.

– შარშან კაზანტიპზე ნარკოტიკით გოგონები დაიღუპნენ.

– დიახ, ძალიან დიდი ტრაგედია დატრიალდა როგორც ყირიმში, ასევე ანაკლიაში. როგორც აღმოჩნდა, ანაკლიის მაგალითი იყო პატარა ლაბორატორიული მოდელი, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მთელი ქვეყნის კაზანტიპიზაცია და როგორ უნდა მომხდარიყო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის მიღწევის გზით ნარკოტიკის კომერციალიზაცია. კლუბური ნარკოტიკების გამოყენების კომერციალიზაცია გამოყენებულია ღამის კლუბებში. საქართველოში ბოლო დროს გაიხსნა ძალიან ბევრი ღამის კლუბი. მათ შორის, ერთ-ერთია ევროპის მასშტაბით აღიარებული და ძალიან ხშირ შემთხვევაში იმ კლუბებში ხდება ე.წ. კლუბური ნარკოტიკის გამოყენება.

მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკულად მოახდინა მარიხუანის დეკრიმინალიზაცია, როგორც გარკვეული დოზის ტარების, ასევე მისი მოწევისა და გამოყენების უფლებით. ამ ყველაფერმა ძალიან მკაფიო ფონი გააჩინა იმისათვის, რომ ნარკოტიკები გამოყენებულ იქნას ტურიზმის სფეროში, როგორც ნარკოტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი კომპონენტი.

– ამ ვითარებაში პარლამენტში შეტანილი კანონპროექტის ავტორების მიზანი რა არის?

– ახალი კანონპროექტის ავტორები ლობირებენ ამ მიმართულებით ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაციას. საკანონმდებლო ინიციატივას იყენებენ, როგორც ნარკოტურიზმის ხელისშემწყობ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. ისინი არიან ლობისტები იმ ბიზნესისა, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს კონკრეტულ ღამის კლუბებში. აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ჩვენ ცოტა ხანში გამოვაქვეყნებთ თანამდებობის პირების სიას, რომლებიც ამ ღამის კლუბების მფლობელები არიან.

– როცა ხარ ხალხის რჩეული, ხალხს უნდა ლობირებდე და არა ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის კანონპროექტს.

– 2017 წლის 28 დეკემბერს პარლამენტის წევრთა ერთმა ჯგუფმა კანონის უხეში დარღვევით ჩაატარა საკომიტეტო მოსმენა, რომელსაც მხარს არ უჭერდა ჯანდაცვის კომიტეტის რამდენიმე წევრი, მათ შორის, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ხუნდაძე, რომელსაც მინდა მადლობა გადავუხადო პრინციპული და შეუვალი პოზიციისთვის. ისინი კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ კანონპროექტის შინაარსს. კენჭისყრის წინააღმდეგი იყვნენ, მოსმენა დაიწყო კანონის დარღვევით, ღამით ცხრის ხუთ წუთზე, იმდენად მნიშვნელოვანი იყო ლობისტებისთვის. თუმცა, პარლამენტში ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებიც ამ სახის კანონპროექტის განხილვის წინააღმდეგნი არიან. ამავე დროს პრინციპული და შეუვალი პოზიცია აქვს ბატონ გიორგი გახარიას, რომელსაც მადლობას ვუხდი. რაც უფრო შეუვალი იქნება საზოგადოების პოზიცია, მით უფრო სწრაფად აეხდება ნიღაბი დაფინანსებულ კამპანიას, რომლის უკანაც დგას სოროსის ფონდი.

იმისთვის, რომ ეს თემები გააქტიურებულიყო, სოროსმა 2016-2018 წლებში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას მისცა ძალიან დიდი ოდენობით გრანტები. მაგალითად, „თეთრი ხმაურმა“ მიიღო 16 ათასი დოლარი. „ალტერნატივა ჯორჯიამ“ – 39 ათასი დოლარი, „ბექა კრიმინალი არ არის“ – რამდენიმე ათასი დოლარი. ეს ორგანიზაციები სოროსის ფონდისაგან ფინანსდებიან, რომ მათ საკანონმდებლო ორგანოზე მოახდინონ ზეწოლა და რაც შეიძლება სწრაფად იქნას მიღებული იმგვარი კანონმდებლობა, რომელიც გარკვეულ პირებს ნარკოტიკების კომერციული მიმოქცევის შესაძლებლობას მისცემდა. ამით ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების მიმოქცევის ნოყიერი ფონი შეიქმნებოდა.

მინდა ერთი არგუმენტი მოგიყვანოთ – ავღანეთში ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ოპიუმის, ყაყაჩოს ფართობები, რომელიც 10 წლის წინ 4 ათას ჰექტარს შეადგენდა, დღევანდელი მონაცემებით, 200 ათას ჰა-ს შეადგენს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთელ მსოფლიოში მოხმარების ზრდასთან ერთად, მიწოდების ვალდებულებებიც იზრდება. შესაბამისად, ნარკობიზნესი არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემოსავლიანი შავი ბიზნესი. საქართველოც გამონაკლისი არ არის. საქართველო, როგორც ტურიზმის ქვეყანა, უნდათ გადააქციონ ნარკოოაზისად, ნარკოტურიზმის ქვეყნად, როგორიც არის მაროკო.

– ანუ თქვენი წინადადებაა, წინასწარ იცოდეს ყველა ახალგაზრდამ, თუ მიიღებს ნარკოტიკს, მას საჯარო სამსახურში მომავალი არ ექნება.

– დიახ, გინდა ნარკოტიკი, მაშინ შენ არ გექნება კარიერული წინსვლა, შენივე ხელით უარს აცხადებ მომავალზე. ამაშია ჩემი კონცეფციის არსი. საჯარო სექტორში 340 ათასი ადამიანია დასაქმებული. არსებობს ძალიან დიდი ინტერესი იმისა, რომ საჯარო სექტორში ნარკომომხმარებლები არ ფიგურირებდნენ. 2010 წელს მიხეილ სააკაშვილს შევთავაზე, მას თვითონ მიეცა მაგალითი საქართველოს საჯარო სექტორისთვის, სასამართლო, საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის და თმის ღერის იმუნოფერმენტული ანალიზი ჩაეტარებინა ნარკომოხმარების შესამოწმებლად, რაზეც მან საჯაროდ დადო პირობა, მაგრამ არ შეასრულა. ახლაც ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებს მოვუწოდებ, ჩაიტარონ შემოწმება.

– ე.ი. მთელ სახელისუფლებო შტოებში ჩატარდეს ნარკოტესტირება?

– დიახ, ვითხოვ, ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებმა ჩაიტარონ იმუნოფერმენტული ექსპერტიზა.

პაპუნა უგრეხელიძე: „იმისთვის, რომ სიმართლე დავამტკიცო, მჭირდება ვიყო თავისუფალი“

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე თანამშრომლებს ოფიციალურად დაემშვიდობა. სიტყვით გამოსვლისას უგრეხელიძემ ყურადღება მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე გაამახვილა და განაცხადა, რომ საჯარო მოხელე შეზღუდულია ხმამაღლა საუბარში და რომ ის თავისუფალი უფრო შეძლებს სიმართლის დამტკიცებას.

უგრეხელიძის განცხადებით, მის ირგვლივ ბინძური კამპანიაა აგორებული და არსებული ბრალდებები სიმართლეს არ შეესაბამება.

– ყველამ კარგად იცით, რეალურად რა გაჟღერდა მედიაში და რა მოხდა. ისეთი სახე მიიღო, იმდენად ბინძური და ჭუჭყიანი კამპანიაა. სამწუხაროდ, საჯარო მოხელე შეზღუდულია და მისთვის ყველაფრის თქმა შეუძლებელია. იმისთვის, რომ მე ჩემი სიმართლე დავამტკიცო, მჭირდება ვიყო თავისუფალი. ასევე, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ თქვენ გყავთ ოჯახები, განსაკუთრებით ქალბატონებს ეხება ეს და იმ ბინძური კამპანიის ფონზე, მე ვერ მივცემ თავს უფლებას, რომ თუნდაც ერთი კითხვა მაინც დაისვას თქვენს ოჯახში ამ თემასთან დაკავშირებით. ასევე, მე მყავს ოჯახი, 18 წლის შვილი და უნდა გავუფრთხილდე მის ფსიქიკას, – განაცხადა პაპუნა უგრეხელიძემ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პაპუნა უგრეხელიძეს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ.

„დასრულებული შენობების ფარული დეფექტების სავალდებულო დაზღვევის შემოღება მიუღებელია“

დასრულებული შენობების ფარული დეფექტების სავალდებულო დაზღვევა დეველოპერებისთვის მიუღებელია. ამის შესახებ მენაშენეთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა (სამშენებლო კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორი) თორნიკე აბულაძემ „კომერსანტთან“ საუბარში განაცხადა.

მისი შეფასებით, დღეს ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს ახალ რეგულაციაზე, რომელიც ობიექტის მშენებლობის პროცესში შემოწმების ვალდებულებას გულისხმობს. აბულაძე აცხადებს, რომ ახალი ნორმით, ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნება რგოლი, რომელშიც იქნებიან სერთიფიცრებული კადრები და რომლებიც მშენებლობების პროცესის მიმდინარეობას გაუწევენ ზედამხედველობას.

მისი მტკიცებით, ამის გათვალისწინებით, დაზღვევის საჭიროება არ დგას. გარდა ამისა, ობიექტების შემოწმება ადგილზე არსებული ინჟინრების და დეველოპერების მხრიდან ისედაც ხორციელდება. აბულაძის განმარტებით, შესაძლოა, ვისაუბროთ იმაზე, რომ სავალდებულო იყოს სერთიფიცირებული ხალხის პასუხისმგებლობის დაზღვევა. შედეგად, ამ კადრებს ჰქონდეთ იმის ვალდებულება, რომ ობიექტი შეამოწმონ და ობიექტური დასკვნა დადონ.

– ფარული დეფექტის, შესაბამისად, ფარული სამუშაოს პროცედურა შემდეგშია: როდესაც რკინაზე ისხმება ბეტონი, თქვენ ვერ ნახულობთ იმას, ეს სწორად მოხდა თუ არა. ამას ნიშნავს ფარული სამუშაო.

როდესაც კონსტრუქტორი პროექტს აკეთებს, ის ვალდებულია ბეტონის ჩასხმის წინ მივიდეს, დაათვალიეროს ობიექტი და დაწეროს აქტი იმაზე, რომ ყველაფერი მისი პროექტის შესაბამისად სრულდება. მანამდე მისი პროექტის გადამოწმება სხვა სერთიფიცირებული ექსპერტის მიერ ხდება. მეორე საკითხია ის, რომ არმატურის ყველა პარტია უნდა მოწმდებოდეს ლაბორატორიაში და მის მიერ გაცემული დასკვნები მშენებელს ჰქონდეს. ეს ეხება ბეტონსაც. ეს არის პროცესი და ამას დიდი კომპანიები აკეთებენ. ანალოგიური პრაქტიკაა საზღვარგარეთის ქვეყნებში.

საუბარი იმაზე, რომ შემოვიტანოთ დაზღვევა, რომელიც ამ ფარულ სამუშაოებს და, შესაბამისად, დეფექტებს დააზღვევს, თან 10 წლის განმავლობაში, გამორიცხულია, აზრს მოკლებულია. მანქანების სავალდებულო დაზღვევა არ გვაქვს და როგორ შეიძლება საუბარი იყოს მშენებლობის დაზღვევაზე. მაინტერესებს, ბოლო წლების განმავლობაში, ფარული დეფექტების გამო, რომელი ახალი სახლი დაინგრა ან ამის გამო პრობლემა შეიქმნა? – აცხადებს აბულაძე.

მისი განცხადებით, დეველოპერები და მენაშენეთა ასოციაცია ეკონომიკის სამინისტროსთან ბევრ რამეზე თანამშრომლობს და მუშაობს, თუმცა, ეს არის საკითხი, რომელშიც არ ეთანხმება. აბულაძე განმარტავს, რომ ეს არის დამატებითი ბიუროკრატია და დამატებითი რგოლის შემოტანა.

როგორც აბულაძე აცხადებს, დასრულებული შენობების ფარული დეფექტების სავალდებულო დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისთვისაც, სავარაუდოდ, ზედმეტ ბიუროკრატიას შექმნის.

– წარმოვიდგინოთ სადაზღვევო კომპანია, რომელმაც ეს ობიექტი უნდა დააზღვიოს. იმან უნდა დაიქირავოს ობიექტის შემმოწმებელი ანუ სერთიფიცირებული ექსპერტის კოლეგა, რომელიც ჩვენ ისედაც დაქირავებული გვყავს. ან ჩემ მიერ აყვანილ ექსპერტს უნდა დააბაროს. საბოლოოდ, ან ვქმნით ზედმეტ ბიუროკრატიას, ან ვზრდით ხარჯებს ან ორივეს ერთად, – აცხადებს აბულაძე.

მისი თქმით, საბოლოოო ჯამში, გაძვირდება მშენებლობა, რაც ისევ და ისევ მომხმარებელზე უარყოფითად აისახება.

საარსებო შემწეობის მიმღებ მოქალაქეთა რაოდენობა გაიზარდა

თუ ბოლო წლების სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა როგორც ზრდის, ისე შემცირების მიმართულებით ხასიათდება. სოციალური მომსახურების სააგენტოში ამბობენ, რომ ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. სააგენტოში მუდმივად შედის განაცხადები და პროგრამას ახალი ბენეფიციარები ემატება, ასევე სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების გადამოწმების შედეგად მათი ნაწილი კარგავს დახმარებას. საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების შემცირებას იწვევს ასევე შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილებაც.



თვიურ ჭრილში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ცვლილება გაცილებით თვალშისაცემია. 2018 წლის მარტის მონაცემებით, სოციალურ დახმარებას 453 ათასზე მეტი მოქალაქე იღებს, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თითქმის 22 ათასით გაზრდილი მაჩვენებელია. გასული წლის მარტში სოციალური დახმარებით 431.387 მოქალაქემ მიიღო.

შესაბამისად გაზრდილია საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახებზე გადარიცხული თანხებიც. აღნიშნულ პროგრამას გასული წლის მარტში 20.790.719 ლარი მოხმარდა, მიმდინარე წლის მარტში კი 20.975.782 ლარი გამოიყო.

დღეის მდგომარეობით, საარსებო შემწეობას 453 ათასზე მეტი ადამიანი იღებს, რომელთა პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში 12,1%-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ამდენივე პროცენტი სიღატაკეში ცხოვრობს.

არის თუ არა საქართველოს ეკონომიკის 50%-ზე მეტი ჩრდილოვანი?

2018 წლის იანვარში, ლეანდრო მედინას (Leandro Medina) და ფრიდრიხ შნიდერის (Friedrich Schneider) გამოქვეყნებული სამუშაო ნაშრომი, ავტორთა ინდივიდუალურ შეფასებებს წარმოადგენს და არ ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალურ პოზიციას, როგორც ეს თავად ნაშრომშია აღნიშნული“, – ამის შესახებ ბმ.გე-ს ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს.

სამინისტროს ინფორმაციით, კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მეთოდოლოგიასა და გამოყენებულ დაშვებებზე. ნაშრომში გამოყენებულია მეთოდები, რომლებიც აფასებს ჩრდილოვანი ეკონომიკის ცვლილების (ზრდა/შემცირების) სიდიდეს, ხოლო დაშვება ჩრდილოვანი ეკონომიკის საწყისი ზომის შესახებ, არაა თანხვედრაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალურ შეფასებებთან.

კერძოდ, საერთაშორისო ფონდის ოფიციალური შეფასების თანახმად, (publikacia IMF country report #o:06/170 Georgia: selected issues) ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომამ საქართველოსთვის 2004 წელს 29,2% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ლეანდრო მედინას და ფრიდრიხ შნიდერის 2018 წლის კვლევაში გამოქვეყნებულ მონაცემებთან. მათ მიერ შეფასებული მეთოდოლოგიის მიხედვით, 2004 წელს ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომამ 66.1% შეადგინა.

– ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კვლევაში დაფიქსირებული მოსაზრებები არ ემთხვევა სსფ-ის ოფიციალურ პოზიციას, რომელიც დადასტურებულია სსფ-ის ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის დეპარტამენტის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს ქვეყნის იმიჯზე, – აცხადებენ სამინისტროში და განმარტავენ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფიციალური პოზიცია, რაც მნიშვნელოვანი სიგნალია ინვესტორებისთვის, ასახულია სსფ-ის დამტკიცებულ გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის (EFF) 3-წლიან პროგრამაში.

– აღნიშნული პროგრამა, რომელიც მთლიანად საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მხარდასაჭერად იქნა ინიცირებული, ითვალისწინებს ეკონომიკის მოწყვლადობის შემცირების ბევრ ღონისძიებას, ხოლო ჩრდილოვანი ეკონომიკა ქართული ეკონომიკის გამოწვევად საერთოდ არ განიხილება. შესაბამისად, სსფ-ის პროგრამა არ მოიცავს ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლის მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებებს, – განაცხადეს სამინისტროში.

IMF-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, მსოფლიოს 158 ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 31.9%-ია. საქართველო კი იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-სთან მიმართებით ყველაზე მაღალია, – კვლევის მიხედვით, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-სთან 64.9%-ია. ამ მაჩვენებლით საქართველო ზიმბაბვესა (60.6%) და ბოლივიას (62.3%) გვერდით დგას.

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

ჰიბრიდული სიმინდით დაზარალებულები — „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სიმინდის მარცვალი უხარისხო იყო“

2011 წელს საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ სიმინდის ე.წ. ხელშეწყობის პროგრამა წამოიწყო. იმ დროს ითქვა, რომ ამ პროგრამის მიზანი ფერმერების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის განვითარება იყო.

საქართველოში დიდი რაოდენობით ჰიბრიდული სიმინდის მარცვალი შემოიტანეს და მოსახლეობას დაურიგეს. მაშინ ამბობდნენ, რომ ეს სიმინდი გენმოდიფიცირებული და უხარისხო იყო. სამწუხაროდ, ჰიბრიდული სიმინდი მართლაც უხარისხო აღმოჩნდა და მის გამო ათასობით ფერმერი დაზარალდა.

რა მდგომარეობაში არიან დღეს ისინი და თუ აუნაზღაურა ვინმემ მიყენებული ზარალი? – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ ადვოკატი ირაკლი უტიაშვილი ესაუბრა:

– ბატონო ირაკლი, არსებობს მოსაზრება, რომ გლეხებმა ჰიბრიდულ სიმინდს ვერ მოუარეს და მოსავალი ამის გამო ვერ მოიყვანეს. რამდენად ახლოს არის ეს სიმართლესთან?

– ეს მტკნარი სიცრუეა: მოსავალი მასობრივად არ მოვიდა და ამ პროგრამით კმაყოფილი ფერმერი მე არ მინახავს. მოსავალი იმ ხალხმაც ვერ მოიყვანა, ვინც ნაკვეთს სათანადოდ მოუარა და ყველა რეკომენდაცია შეასრულა. მე ბევრ მათგანთან მქონია შეხება და ყველა ამბობს, რომ მოსავალი ვერ მიიღო. მთელი ამ წლების განმავლობაში მიმდინარეობს სასამართლო პროცესები, სადაც ფერმერები ამტკიცებენ, რომ ეს მარცვალი უხარისხო იყო, ამის დასტურად ადვოკატებსაც უამრავი მტკიცებულება გაგვაჩნია.

– თქვენ ამჟამადაც აწარმოებთ რამდენიმე ფერმერის საქმეს. დაწვრილებით გვიამბეთ, რატომ ვერ აღწევს ამ პროგრამით დაზარალებული ხალხი სამართალს?

– ჰიბრიდული სიმინდი „სოფლის მეურნეობის კორპორაციამ“ დაარიგა, რომელიც 100%-ით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ორგანიზაციაა. 1 ჰექტარზე დასათესი სიმინდის ფასი 240 ლარი იყო. ფერმერები იმ თანხის უკან დაბრუნებას მოითხოვენ, რომელიც უხარისხო სიმინდის მარცვალში გადაიხადეს. ზოგიერთმა ჰიბრიდულ სიმინდში 15-20 ათასი ლარიც კი გადაიხადა. რამდენიმე მათგანის ადვოკატი მე ვარ და მათი ვინაობის გამხელაც შემიძლია. ეს ფერმერები არიან: მუხრან მეტრეველი, პაატა დოლენჯაშვილი, ლევან გულუა და ბონდო ალქაფაშვილი. ოთხივემ შეიტანა სარჩელი და პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო მოიგო: სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და „სოფლის მეურნეობის კორპორაციას“ მათ სასარგებლოდ 86 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. მართალია, პირველ და მეორე ინსტანციაში საქმე მოვიგეთ, მაგრამ კორპორაციამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები მთელი პროცესის განმავლობაში ცდილობდნენ, გავლენა მოეხდინათ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. „სოფლის მეურნეობის კორპორაციამ“ ამას ნაწილობრივ მიაღწია და ახლა უზენაესმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვის მხარესაა სიმართლე.

– რას აპირებენ ფერმერები, თუ კორპორაცია თანხას არ დაუბრუნებს?

– ჩვენ ამ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დავაყადაღეთ და თუ „სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ თანხას არ გადაიხდის, ეს ქონება აუქციონის წესით გაიყიდება. ეს ქონება ქობულეთში, ზღვის სანაპიროდან 800 მეტრზე მდებარეობს და საკმაოდ ღირებულია.

– როგორ ფიქრობთ, ვის მხარეს დაიჭერს უზენაესი სასამართლო?

– საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამ საქმეში კორპორაცია აქტიურობს და ცდილობს, ყველანაირი ბერკეტი გამოიყენოს. რატომ? – უზენაესი სასამართლო პროცესს მხოლოდ იმ შემთხვევაში მართავს და საჩივარს მაშინ განიხილავს, როცა მიიჩნევს, რომ პირველი და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება არასწორია. ამ შემთხვევაშიც, უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დასაშვებად მიიჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება პირველი-მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს სასარგებლოდ შეიცვალოს. წესით, უზენაეს სასამართლოს უარი უნდა ეთქვა საქმის განხილვაზე და არ უნდა მიეღო, ვინაიდან არ არსებობს ამის სამართლებრივი წინაპირობა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სიმინდის მარცვალი უხარისხო იყო. ეს დაადასტურა ლაბორატორიულმა კვლევებმა, მოწმეთა ჩვენებებმა და ბოლოს, თვით სასამართლომაც. ამიტომ, არსებობს ალბათობა, რომ გადაწყვეტილება შეიცვალოს.

– როდის გაიმართება სასამართლო პროცესი?

– პროცესი გაიმართება ამა წლის 18 მაისს, 12 საათზე. ამ საქმით დაინტერესებულ პირებს და ყველას, ვისაც ელემენტარული სამართლიანობის შეგრძნება აქვს, ყველა მედიასაშუალებას ვთხოვ დამიკავშირდნენ და მე მზად ვარ, ყველას დავუსაბუთო ჩემი პოზიციის სისწორე და მართებულობა. მზად ვარ, მედიასთან აქტიურად ვითანამშრომლო, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად გაშუქდეს. ეს არის ერთ-ერთი გზა საიმისოდ, რომ უზენაესმა სასამართლომ უკანონო გადაწყვეტილება ვერ მიიღოს. „სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ დარწმუნებულია, რომ პროცესს მოიგებს, რადგან ყველაფერი „ზემოთ“ წყდება. ამიტომ არის აუცილებელი მედიის აქტიურობა ამ საქმეში.

– საინტერესოა, სხვა ფერმერებმა თუ იბრძოლეს თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად?

– რამდენიმე საქმე უკვე მოვიგეთ. ეს ის ფერმერები იყვნენ, რომლებმაც სიმინდი ნისიად წამოიღეს და მარცვლის ფული ვეღარ გადაიხადეს. კორპორაციამ მათ უჩივლა, მაგრამ პროცესი წააგო და ფერმერებს თანხის გადახდა აღარ დააკისრეს. სამწუხაროდ, ეს ერთეული შემთხვევებია, რადგან ჰიბრიდული სიმინდის პროგრამით დაზარალებულთა დიდმა ნაწილმა სიმართლისთვის არ იბრძოლა. ბევრმა სარჩელი არ შეიტანა, რადგან ხარჯებს მოერიდა, ზოგს ფული არ ჰქონდა, ზოგი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო ორგანიზაციას საქმეს ვერ მოუგებდა... მოკლედ, ათასგვარი მიზეზის გამო შეიკავეს თავი. სხვათა შორის, ბოლო დროს ამ მიზნით ბევრი ფერმერი დამიკავშირდა, მაგრამ სარჩელი უკვე ხანდაზმულია, ამის გამო პროცესს წააგებენ. გასაჩივრების ბოლო ვადა დაახლოებით 1 წლის წინ ამოიწურა, ამიტომ, ვინც მოასწრო და თავისი სიმართლის დაცვა გადაწყვიტა, იმ ხალხს მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მთელმა ქართულმა საზოგადოებამ.

„მკვლელ მძღოლს მაღლჩინოსნები მფარველობენ, გვინდა 7 წელი მიესაჯოს“

2016 წლის 6 ნოემბერს, ვარკეთილის ხიდებთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი 19 წლის როინ ტურაშვილის ოჯახი სასამართლო პროცესების გაჭიანურების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს.

ტურაშვილის ახლობლები მძღოლის დასჯას მოითხოვენ.

მათი ინფორმაციით, ბრალდებულს მაღალჩინოსნები მფარველობენ.

გარდაცვლილის დედა, მზია სარქისაშვილი ამბობს, რომ ინციდენტში მონაწილე მძღოლის, 19 წლის შოთა ჯიქიას გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება უსამართლობაა.

– მთვრალი ჯიქია ვარკეთილის ხიდებთან ტროტუარზე ფეხით მოსიარულე როინს დაეჯახა. ჩემმა შვილმა იქვე დაასრულა სიცოცხლე. მძღოლი შოთა ჯიქია დაკავებული არ არის, მკვლელი 2 დღეში გირაოთი გამოუშვეს. სასამართლოები 4 თვეა ჭიანურდება, უკვე მესამე ადვოკატი გამოცვალეს. საქმეს ხელოვნურად აჭიანურებენ, გავა კიდევ 2 წელი და მკვლელს გარეთ დატოვებენ. მინდა, როგორ წესია ისე, 7 წელი მიესაჯოს, რადგან ის მკვლელია. ჩემი შვილი პირველი კურსის სტუდენტი იყო, – განაცხადა გარდაცვლილის დედამ.

19 წლის როინ ტურაშვილის ოჯახი აცხადებს, რომ ბრალდებულს მართვის უფლება არ შეჩერებია.

კითხვაზე, ექსპერტიზით დადასტურდა თუ არა მძღოლის სიმთვრალე, ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე აცხადებს, რომ ამ კითხვაზე შეგნებულად არ პასუხობს.

„ჩატაევის საქართველოში ყოფნის შესახებ ალდამოვმა არ იცოდა“

ტერორიზმის მხარდაჭერის ბრალდებით დაკავებული რუსლან ალდამოვის ადვოკატი, მარიამ კუბლაშვილი აღნიშნავს, რომ საქმეზე გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენას არ ადასტურებს.

– კავშირები, რომელიც ბრალდების მხარეს აქვს დადგენილი, იყო შემთხვევითი. ჩატაევის საქართველოში ყოფნის შესახებ ალდამოვმა არ იცოდა, ხოლო ინტერპოლის მიერ ძებნილი ადამიანების ქვეყანაში შემოსვლა გამოეპარა ხელისუფლებას და რატომღაც არ უნდა გამოპარვოდა პანკისის ხეობის მკვიდრ ახალგაზრდობას.

ეს ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ დუისში, მათ შორის პოლიციასთან და რეაქცია ამაზე არავის არ ჰქონდა, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

დავით მოდებაძე: „ბრალდების მტკიცებულებებიდან ზურაბ იდოიძეს არაფერი ეხება“

ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე ბრალდებულ ზურაბ იდოიძის ადვოკატის, დავით მოდებაძის განცხადებით, მან სასამართლოს მიმართ იდოიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა იშუამდგომლა, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილა.

როგორც მოდებაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობას დაადასტურებდა და მისი შუამდგომლობა სწორედ ამით იყო განპირობებული.

– ბრალდების მხარემ წარმოადგინა დაახლოებით 30 ტომი მტკიცებულებები, თუმცა იქიდან ზურაბ იდოიძეს არაფერი ეხება. მე ვიშუამდგომლე, მის მიმართ შეწყვეტილიყო სისხლის სამართლებრივი დევნა, რათა ზედმეტად არ დახარჯულიყო სახელმწიფო რესურსი. ამის მიუხედავად, მოსამართლემ საქმე არსებით განხილვაზე მაინც გადასცა სასამართლოს, – განაცხადა დავით მოდებაძემ.

სუს-მა ანტიტერორისტული ოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსისა და პანკისის ხეობაში 2017 წლის 21-22 ნოემბერსა და 26 დეკემბერს ჩაატარა. ჩატარებული ოპერაციის შედეგად გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ლიკვიდირებულია ახმედ ჩატაევის დაჯგუფების ორი წევრი, თავად ჩატაევმა კი თავი აიფეთქა. სპეცოპერაციის ჩატარებამდე სამართალდამცველებმა დაჯგუფების ერთი წევრი შოაიფ ბორზიევი დააკავეს. მას ბრალად ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა ედება.

რაც შეეხება პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციას, სუს-ის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა ტერორიზმში ბრალდებულთა ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირები რუსლან ალდამოვი, ბადურ ჩოფანაშვილი, რამაზ მარგოშვილი და ზურაბ გორნაკაშვილი დააკავა. კიდევ ორი პირი ანატოლი ბერძენიშვილი და ზურაბ იდოიძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოგვიანებით დააკავა. ყველა მათგანს გამოძიება ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას და რესურსებით უზრუნველყოფას ედავება.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის შენახვა-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის შენახვა-გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქალაქ რუსთავში, ჯამში 2100 აშშ დოლარის ოდენობის 21 ერთეული ყალბი 100-დოლარიანი კუპიურა გაასაღა.

მათივე ცნობით, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

რითი აშანტაჟებს მირზა სუბელიანი პროკურატურას



ხორავას ქუჩაზე, ორი მოზარდის მკვლელობის ქრონიკა და ბუნდოვანი საქმის სკანდალური დეტალები:

თბილისის ცენტრში, გასული წლის პირველ დეკემბერს მომხდარი ტრაგედიის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი არ ცხრება. მედია, ადვოკატები და სადისტურად მოკლული არასრულწლოვნების მშობლები სასამართლო პროცესებს გამადიდებელი შუშით აკვირდებიან, თუმცა პასუხგაუცემელი კითხვები იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე პასუხები. ამ კითხვების ადრესატი სახელმწიფოა. გამოძიებას მოკლული არასრულწლოვნის ოჯახი და დაცვის მხარე უნდობლობას უცხადებს. დავით სარალიძის მამა და მათ შორის, ბრალდებული არასრულწლოვნების ადვოკატები საქმის „შეკერვაზე“ ღიად ალაპარაკდნენ.

ვერაზე მომხდარი სასტიკი მკვლელობის სასამართლო განხილვები ამ დრომდე გრძელდება. „ნიუპოსტმა“ კი ტრაგედიის შესახებ ახალი და სკანდალური დეტალების მოპოვება შეძლო.

კონფიდენციალური წყარო გვიყვება, რომ საქმის ფაბრიკაცია ყოფილი მაღალჩინოსნის მირზა სუბელიანის მუქარის შემდეგ გადაწყდა.

როგორც ცნობილია, სუბელიანის არასრულწლოვანი შვილი და ასევე, არასრულწლოვანი ნათესავი მომხდარი ტრაგედიის ფიგურანტები არიან.

წყაროს ცნობით, პროკურატურა ორივე მათგანისთვის ბრალის წაყენებას გეგმავდა, თუმცა მას შემდეგ, რაც სუბელიანი პროკურატურის მაღალჩინოსნებს შეხვდა და სხვა სკანდალურ საქმეზე ვიდეო ფირების გამომზეურებით დაემუქრა, სუბელიანის ვაჟსა და მის დეიდაშვილს მხოლოდ მოწმის სტატუსი მიანიჭეს.

ცნობისთვის, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით პროკურატურამ ხუთი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. ერთ-ერთი დაკავებული, თენგიზ კალანდია, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნის, მირზა სუბელიანის ქვისლია. ამავე დანაშაულის დაფარვის ბრალდებით, ასევე პასუხისგებაში მიეცა თენგიზ კალანდიას ორი შვილი – მ.კ და ლ.კ, აქედან ერთს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იცავს, სრულწლოვანი ბიჭი კი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

აღსანიშნავია, რომ თავად თენგიზ კალანდია შსს-ში მუშაობდა, თუმცა ბოლო პერიოდში ის კადრების განკარგულებაში იყო გადაყვანილი.

კიდევ უფრო სკანდალურია 1 დეკემბრამდე, ორი კვირით ადრე განვითარებული მოვლენები:

როგორც „ნიუპოსტთან“ წყარო ამტკიცებს, პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნის ვაჟმა და მისმა დეიდაშვილმა თბილისში არასრულწლოვანი დაჭრეს, თუმცა ეს კრიმინალური ფაქტი მაშინ არ გახმაურებულა.

აღნიშნულ გარჩევაზე ინფორმაცია აქვს მოკლული დავით სარალიძის მამასაც, რომელიც „ნიუპოსტს“ ესაუბრა.

– ამ ინციდენტამდე ორი კვირით ადრე თენგიზ კალანდიას ვაჟმა დაჭრა ვიღაც. ეს საქმე ჩაიფარცხა, ისე მოგვარდა, რომ არ გახმაურებულა, არსად ჩანს, – აღნიშნა ზაზა სარალიძემ.

მოკლული დავით სარალიძის მამა, ასევე ამბობს, რომ მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მკვლელობაში შესაძლებელია სწორედ პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნის შვილი ფიგურირებდეს.

– მკვლელობაში შეიძლება კალანდიას ერთ-ერთი ვაჟი ფიგურირებდეს, მისი დეიდაშვილი ა.ს არა. ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, პირდაპირ ადებენ ხელს, რომ მკვლელი არის ეგ... მ.კ. და ა.ს. დეიდაშვილები არიან. სწორედ მირზა სუბელიანის შვილის გამო დაიწყო ეს კონფლიქტი, მან დაურეკა ლ.კ-ს, რომელმაც თავის მხრივ მეგობრები წამოიყვანა, – ამბობს სარალიძე, რომელიც არ გამორიცხავს, რომ სწორედ მირზა სუბელიანი იყოს დაინტერესებული საქმის არასწორი გამოძიებით – „ფაქტია, რომ ორი მკვლელი თავისუფალია“.

ზაზა სარალიძემ თბილისის პროკურორ მალხაზ კაპანაძესაც უპასუხა და თქვა, რომ მოწმეებით არა ის, არამედ თავად ბრალდების მხარე მანიპულირებს.

– შოთაძის უწყება მანიპულირებს ჩვენზე და მიმტკიცებენ, რომ ერთმა ბავშვმა მიაყენა 12 ჭრილობა ჩემს შვილს, – აღნიშნა დავით სარალიძის მამამ.

ამასთან, მოკლული არასრულწლოვნის მშობელი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 26 მარტს დაკითხულმა გ.მ.-მ იმაზე მეტი იცის, ვიდრე სასამართლოზე თქვა:

– ინციდენტის დროს გ.მ. დაიჭრა, როგორც პროკურორმა თქვა, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობსო, რადგან არასრულწლოვანები არიან, სხვა დეტალებს არ ახმაურებენ, – უთხრა „ნიუპოსტს“ ზაზა სარალიძემ, რომელიც კომპლექსური ექსპერტიზის პასუხების გაჭიანურების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს.

– ეს დასკვნა ნათლად დაადგენდა, რამდენი იარაღი იყო ჩემი შვილის წინააღმდეგ გამოყენებული, ჩემი აზრით, სპეციალურად აჭიანურებენ ამ საქმეს. არ არის გამორიცხული, ექსპერტიზის პასუხი უკვე დადებული ჰქონდათ, მაგრამ ამზადებენ მოწმეებს, რომ ექსპერტიზის პასუხის შესაბამისად ისაუბრონ, – თქვა ზაზა სარალიძემ.

ხორავას ქუჩაზე მოკლული 2 არასრულწლოვნის საქმეზე საბოლოო განაჩენს მოსამართლე ივნისის დასაწყისამდე გამოაცხადებს.

ათენში 4 ქართველი დააკავეს

– ქართველი და ბერძენი სამართალდამცველების თანამშრომლობის შედეგად ათენში დანაშაულებრივი ჯგუფის 4 წევრია დაკავებული, – ინფორმაცია ამის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ დღევანდელ ბრიფინგზე გააჟღერა.

– ქართველი სამართალდამცველები კვლავ აქტიურად თანამშრომლობენ ევროპელ კოლეგებთან სპეციალური ოპერაციების მომზადების, განხორციელების და ყველა საჭირო ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

საბერძნეთში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეს და საბერძნეთის პოლიციის ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, დაკავებულია ქართული დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი.

ქართველი და ბერძენი სამართალდამცველების მიერ სამი თვის განმავლობაში ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქალაქ ათენში საქართველოს 4 მოქალაქე: 1965 წელს დაბადებული ვ.ხ., 1983 წელს დაბადებული ბ.თ., 1978 წელს დაბადებული მ.ფ. და 1976 წელს დაბადებული ვ.ჯ. დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები გასაქურდ ბინებს წინასწარ არჩევდნენ, მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ მონაცემებს აღნიშნული ბინების შესახებ, შემდეგ კი ქურდავდნენ. დადგენილია, რომ დაკავებულებს საბერძნეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით 200-მდე ბინა აქვთ გაქურდული.

სამართალდამცველებმა ოთხივე პირის საცხოვრებელი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკისას, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ფული და მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებს დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდათ ერთ-ერთ ე.წ. „კანონიერ ქურდთან“, რომლისგანაც დავალებებს იღებდნენ და „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ.

დაკავებულებს ბრალი ედებათ საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე, 374-ე, 13-ე, 45-ე და 98-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებში, რაც ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ჩამოყალიბებას, ჯგუფურად მრავალგზის ქურდობას, ფულის გათეთრებას და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს ევროპელ კოლეგებთან ინტენსიურ თანამშრომლობას და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას სხვა დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებით, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გარდაბანში ავტოსაგზაო შემთხვევას 18 წლის ახალგაზრდა ემსხვერპლა

გარდაბანში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი BMW-ს მარკის მსუბუქი ავტომობილი ქალაქ გარდაბნის შესასვლელში ქვეითს დაეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული 18 წლის ახალგაზრდა ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ტრამპმა კურსი რადიკალურად შეიცვალა

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკელი ექსპერტები: „პუტინს დასავლეთთან მკვეთრი დაპირისპირება ლეგიტიმურობას მატებს“

რამდენიმე დღის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა თავის რუს კოლეგას საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. მაშინ მას სკრიპალის საქმე არ უხსენებია. თეთრი სახლი განიხილავდა ტრამპი-პუტინის მომავალი შეხვედრის მომზადების საკითხსაც.

დღეს ყველა ტრამპის კურსის რადიკალურ შეცვლაზე ალაპარაკდა. ამის საბაბი გახდა აშშ-დან 60 რუსი დიპლომატის გაძევების გადაწყვეტილება. ეს ნაბიჯი მხოლოდ ლონდონის მიმართ სოლიდარობის გამომხატველად არ აღიქმება.

ამერიკელი ანალიტიკოსების თქმით, თეთრი სახლის მეთაურს მოსკოვის მიმართ პირადი სიმპათია ჰქონდა. მასვე ახასიათებდა გულგრილი დამოკიდებულება ნატოსა და ევროკავშირის მიმართ. ეს საეჭვოს ხდიდა ტრამპის ერთგულებას ტრანსატლანტიკური პარტნიორობისადმი.

დიპლომატების დეპორტაციის გადაწყვეტილებამ დაამტკიცა, რომ ტრამპმა კურსი შეიცვალა.

თეთრი სახლის განმარტებით, რუსი დიპლომატების გაძევება ეროვნული უსაფრთხოების მიზნებსაც უკავშირდება. ეს ზღუდავს შპიონაჟისა და სპეცოპერაციების ჩატარების შესაძლებლობებს.

ბლუმბერგის დასკვნით, მოსკოვი გაოგნებულია ვაშინგტონის გადაწყვეტილებით. კრემლთან მჭიდრო ურთიერთობების მოსურნე აშშ-ის პრეზიდენტი მოულოდნელად დაუახლოვდა ევროპელ მოკავშირეებს, რომლებსაც ადრე უგულებელყოფდა.

ამან სათუო გახადა ტრამპი-პუტინის შეხვედრა. პრეზიდენტებს შეიარაღების კონტროლზე უნდა ესაუბრათ.

ტრამპი არ ადასტურებს თავისი ყოფილი საარჩევნო შტაბის გარიგებას რუსეთთან. ის არ საუბრობს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე, თუმცა, ამ თემას არ ივიწყებენ ვაშინგტონის სხვა ოფიციალური პირები.

დიპლომატების გაძევების გადაწყვეტილების შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰიზერ ნოიერტმა განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკის არჩევნებში ჩარევას არ მოიშლის, ვინაიდან ისეთ ურჩხულს, როგორიც რუსეთია, გრძელი საცეცები აქვს.

ბრიტანეთისა და აშშ-ის გარდა, რუსი ელჩები ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც გამოაძევეს.

რუსეთი აპირებს საპასუხო მსგავსი ზომების გატარებას ყველა ამ ქვეყნის მიმართ.

რუსეთის ოფიციალური პირები და ექსპერტები ისევ საუბრობენ იმაზე, რომ ბრიტანეთს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები სკრიპალების მოწამვლაში მოსკოვის მონაწილეობის თაობაზე.

ლონდონში წარმოდგენილ პრეზენტაციაზე ნათქვამია, რომ სკრიპალზე ქიმიური თავდასხმის შესაძლებლობა, განზრახვა და მოტივი მხოლოდ რუსეთს ჰქონდა. რუსეთის მიერ მანამდე ჩადენილ დანაშაულებს შორის დასახელებულია ლიტვინენკოს მოწამვლა, საქართველოში შეჭრა, ყირიმის ოკუპაცია და დესტაბილიზაცია უკრაინაში.

როგორც ჩანს, ახალ დაპირისპირებაში დასავლეთსა და რუსეთს შორის კრემლი განსაკუთრებულად გააღიზიანა კიევის პოზიციამ. უკრაინის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ სკრიპალის საქმეზე რუსეთმა უნდა ამტკიცოს, რომ უდანაშაულოა. მოსკოვი არ გამორიცხავს, რომ კიევმა მოქმედებებიც დაიწყოს. მაგალითად, ჯარი შეიყვანოს დონბასში ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს.

დასავლელი ექპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ დიპლომატების დეპორტაციით პუტინს არაფერი დააკლდება. პირიქით, დასავლეთთან მკვეთრი დაპირისპირება რუსი ნაციონალისტების თვალში პუტინს ლეგიტიმურობას მატებს. კრემლის ლიდერს ხელს აძლევს ახალი ცივი ომი. მალე ის აშშ-ს რუსეთის მთავარ მტრად გამოაცხადებს.

კიმ ჩენ ინი ჩინეთის ლიდერ სი ძინპინს შეხვდა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი პეკინში ჩინეთის ლიდერს, სი ძინპინს შეხვდა – ამის შესახებ ინფორმაციას „ჩინეთის ცენტრალური ტელევიზია“ ავრცელებს.

სი ძინპინის თქმით, პეკინი ხელს შეუწყობს ფხენიანთან თანამშრომლობის გაძლიერებას მშვიდობისა და ორი სახელმწიფოს საერთო ინტერესების დაცვისათვის.

– ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ახალგაზრდობას შორის კონტაქტების გაძლიერებას და არსებული მეგობრული ტრადიციები მემკვიდრეობით გადავცეთ, – განაცხადა სი ძინპინმა და დასძინა, რომ კიმ ჩენ ინის ვიზიტი მოწმობს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩრდილოეთ კორეა ჩინეთთან ურთიერთობების გაძლიერებას.

სი ძინპინმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ და კორეის მუშათა პარტიამ სოციალიზმის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

თავის მხრივ, კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ჩინეთთან პარტიათაშორისი კავშირების გაძლიერებას.

– ჩინეთთან მეგობრობის განვითარება ჩვენი არჩევანია და ამას ვერაფერი შეცვლის, – აღნიშნა კიმ ჩენ ინმა.

სი ძინპინმა პეკინში კიმ ჩენ ინის ვიზიტს მაღალი შეფასება მისცა.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის განცხადებით, ის მხარს უჭერს ბირთვული განიარაღების თანმიმდევრულ პროცესს. გარდა ამისა, მან ვიზიტისას განაცხადა, რომ აშშ-სთან დიალოგისა და პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან შეხვედრისათვის მზად არის.

თავის მხრივ, სი ძინპინმა აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებენ კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული განიარაღებისათვის, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ვიზიტი ჩინეთში 25-დან 28 მარტამდე გაგრძელდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რაიანი: „რუსეთი დემოკრატიულ სამყაროში ქაოსის დანერგვას ცდილობს“

აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა პოლ რაიანმა განაცხადა, რომ რუსეთი დემოკრატიულ სამყაროში ქაოსის დანერგვას ცდილობს. საფრთხე ემუქრება როგორც ნატოსა და ევროკავშირის წევრებს, აგრეთვე იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ახალგაზრდა დემოკრატიას წარმოადგენენ. მათ შორის რაიანმა უკრაინა და საქართველო დაასახელა.

აშშ-ის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა აღნიშნა, რომ დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ კონკრეტული გეგმა უნდა შეიმუშაოს. პუტინის შეჩერება აუცილებელია.

– მას აუცილებლად შევაჩერებთ! – ამბობს რაიანი.

კემეროვო: პუტინი ხალხთან არ გავიდა

უკანასკნელი ოფიციალური ინფორმაციით, კემეროვოს სავაჭრო ცენტრის ხანძრისას 84 ადამიანი დაიღუპა. აქედან 41 ბავშვია. 54 მძიმედაა დაშავებული და საავადმყოფოში იმყოფება, 38 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

რუსული ოპოზიციის მტკიცებით, დაღუპულთა რაოდენობა 100-ს აჭარბებს. აღშფოთებული კემეროველები ქუჩაში გამოვიდნენ. პუშკინის მოედანი (ანუ ქალაქის ცენტრი) ხალხით იყო სავსე. ისინი ოლქის ხელმძღვანელების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვდნენ. ცეცხლზე ნავთი გადაასხა იმან, რომ გუბერნატორი ტულეევი ქალაქიდან გაიქცა, მისი მოადგილე ცოი კი დასასვენებლად კურორტზე იმყოფება. ქალაქის ხელმძღვანელთა განცხადებამ, ხანძარი „ბენდერელმა დივერსანტებმა“ მოაწყვეს, არეულობის ინსპირირებასაც ისინი ცდილობენო, ცეცხლზე ნავთი დაასხა. სიტუაცია უკიდურესობამდე დაიძაბა.

26 მარტს, დილით ადრე კემეროვოში ვლადიმერ პუტინი ჩავიდა. მან დაღუპულთა სახელდახელო მემორიალთან ყვავილები დააწყო. მიუხედავად ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა ვერ გაბედა ქალაქის მთავარ მოედანზე გასვლა, სადაც აღშფოთებული ხალხი იყო შეკრებილი.

თავის ტელეინტერვიუში პუტინმა განაცხადა, რომ ხანძარი ადგილობრივი ხელისუფლების დაუდევრობამ გამოიწვია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხუთი ადამიანი უკვე დაპატიმრებულია. მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ჩეხეთის პრეზიდენტი სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულეს

ჩეხეთის პრეზიდენტმა ზემანმა განაცხადა, რომ გაზი ნოვიჩოკი, რომლითაც გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სკრიპალი მოწამლეს, შესაძლოა, ჩეხეთის ლაბორატორიებშია დამზადებული. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კონტრდაზვერვას მისცა დავალება, გაერკვია ეს საკითხი.

ამ გამოსვლამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

ჩეხეთის პარლამენტის დეპუტატმა ნემცოვამ ზემანი სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

– ზემანი რუსებზე მუშაობს, – თქვა მან.

მილოშ ზემანი ჩეხეთის პრეზიდენტი და ვლადიმერ პუტინის მომხრეა. ის მხარს უჭერს იმას, რომ ყირიმი რუსეთის ნაწილად აღიარონ; ასევე აღიარებულ იქნას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

– ასეთია გეო-პოლიტიკური რეალობა და ამას უნდა შევეგუოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპაში დიდი ომი დაიწყება, – აცხადებს ზემანი.

ბულგარეთმა რუსეთიდან ელჩი გამოიხმო

ბულგარეთმა რუსეთიდან თავისი ელჩი კონსულტაციებისათვის გამოიხმო. ეს ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის პრემიერ ბოიკო ბორისოვის სიტყვებთან, რომელიც რამდენიმე დღის წინ აცხადებდა, რომ რუსეთიდან ელჩის გამოხმობა არ მოხდებოდა.

ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ბულგარეთს ჯერჯერობით რუსი დიპლომატები არ გაუძევებია.

განცხადებები

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის,ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

მამუკელაშვილი ეროვნულ გუნდში ითამაშებს, საქართველოს ევროპირველობის მასპინძლობა სურს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ პაატა გურასპაულის ერთ-ერთი პირველი ინიციატივა მასმედიის წარმომადგენლებთან პერმანენტული შეხვედრების გამართვა და მიმდინარე საკალათბურთო საკითხებზე საუბარი გახლავთ. ეს დაპირება გურასპაულმა პირნათლად შეასრულა და პრეზიდენტად გახდომიდან 3 თვის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა.

გურასპაულმა საკმაოდ ვრცელი მონოლოგი წაიკითხა და ძირითადად იმ საკითხებზე ისაუბრა, რომლის 90% ჩვენთვის ნაცნობი იყო.

პაატა გურასპაული:

– ჩემი პრეზიდენტად გახდომის შემდეგ პირობა იყო, რომ ჟურნალისტებთან აქტიურ შეხვედრებს გავმართავდი და ამისთვის მზად ვარ. მე ასეთ ფორმატს გთავაზობთ. რაც შეეხება განვლილ 3 თვეს, ალბათ ყველაზე რთული პერიოდი იყო, როდესაც მსაჯებთან დაკავშირებული სკანდალი მოხდა. ეს შოკი აღმოჩნდა ჩემთვის. გარკვეული პერიოდი დაგვჭირდა, რომ გამოვსულიყავით ამ სიტუაციიდან. ენითაუწერელი სიტუაცია იყო ფედერაციაში. ჩვენ მაქსიმუმი გავაკეთეთ, რომ ეს პრობლემა გადაგველახა. ახლაც ვმუშაობთ, რომ ის დანაკლისი ავინაზღაუროთ. ჩემ პრეზიდენტობამდე საქართველოში ჩამოვიდა სერბი სპეციალისტი, რომ ეპოვა ახალგაზრდა და პერსპექტიული მსაჯები. ამ ფაქტის შემდეგ ძალიან გაურთულდა საქმე. დღევანდელი მონაცემებით შემიძლია გითხრათ, რომ დაახლოებით 15 მომავალ მსაჯთან მიდის სწავლება და რამდენიმემ თეორიულ მეცადინეობასთან ერთად უკვე დაიწყო პრაქტიკული მუშაობაც. ასევე ხდება მსაჯ-მდივნებისა და კომისრების შერჩევა. მსაჯებთან ერთად მწვრთნელების გადამზადება და კვალიფიკაციაც გაიზარდა. ამ კუთხითაც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.

რაც შეეხება ნაკრებს, აქ დაგვხვდა ურთულესი თემა. ევროლიგასა და ფიბას შორის არის დაპირისპირება, რის გამოც გამოგვაკლდა თორნიკე შენგელია და გიორგი შერმადინი, რომლებიც ძალიან დიდ ძალას წარმოადგენენ. კიდევ ერთი პრობლემა ტრავმიანობაა: დუდა სანაძე, ბექა ბურჯანაძე და მანუჩარ მარკოიშვილი. მაიკლ დიქსონი, რომელიც თურქეთის მეორე ლიგაში თამაშობს, მას კლუბი არ უშვებდა და რომ არა ჩვენი ძალისხმევა, კავშირები თურქეთის ფედერაციასთან და ფიბას ჩართულობა, აღმოვჩნდებოდით სანაკრებო კატასტროფის წინაშე.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ზუროსმა შეძლო ნაკრების შეკვრა და პროგრამა-მინიმუმი, პრაქტიკულად, შეასრულა. ჩვენ უფრო მეტი გეგმა გვაქვს, ვიდრე ჯგუფიდან გასვლაა და ეს ყველაფერი მომავალში გამოჩნდება. ასევე სწორი იყო წინა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ბ ნაკრებთან დაკავშირებით, რომელმაც რამდენიმე მატჩში მიიღო მონაწილეობა. თუ დავაკვირდებით, ამ შეხვედრებში ზუსტად მეორე ნაკრების კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

შესანიშნავი სივი გვაქვს ფიბაში. გერმანიასთან მატჩში ევროპაში ყველაზე დიდი დასწრება გვქონდა, ხოლო მსოფლიოში – მესამე. ფიბამ მატჩის ორგანიზებაში დაგვიწერა 9.5 ქულა და ის ნახევარი ქულაც დაგვაკლეს სპორტის სასახლის განათების გამო.

ამაში დამნაშავე არც ჩვენ ვართ და არც სპორტის სასახლის ხელმძღვანელობა. ფიბას წარმომადგენლები გაოცებულნი იყვნენ მატჩის ორგანიზებით და ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ გამოცდილება გაგვეზიარებინა. ველოდებით სერბეთისა და ავსტრიის ნაკრებებთან შეხვედრებს, რომლის ორგანიზებაზე ბევრი იქნება დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, გვაქვს ამბიცია, რომ 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფური ეტაპი ჩატარდეს თბილისში. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მოხერხდება.

ასევე იმედი გვაქვს, რომ ყველა ტრავმირებული კალათბურთელი შემდეგი საკვალიფიკაციო მატჩებისთვის დაგვიბრუნდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზაფხულში თორნიკე შენგელიაც და გიორგი შერმადინიც ევროლიგისგან თავისუფლები იქნებიან. ავსტრიასთან და სერბეთთან მატჩში ვიმედოვნებთ, რომ სრული ნაკრები გვეყოლება.

კიდევ ერთი სიახლეა, რომ სეტონ ჰოლის კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი აუცილებლად გახდება საქართველოს მოქალაქე და ჩვენს ნაკრებს დაეხმარება. მას ივნისში ველოდებით, სანაკრებო თამაშების დროს. შემდეგ კი მამუკელაშვილი და ბითაძე სანაკრებო პაუზის შემდეგ დაეხმარებიან 20-წლამდელთა ნაკრებს. ზუროსს ასევე სურვილი აქვს, რომ ნაკრებში ვიხილოთ ლუკა ბულაშვილიც.

ფიბამ თბილისური ორგანიზების შემდეგ, აპრილში „იებლის ტურნირის“ ჩატარების უფლება მოგვანიჭა, რომელსაც მაქსიმალურად კარგ ორგანიზებას გავუწევთ. ესეც მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის.

რაც შეეხება ბასკონიელებთან გაფორმებულ ყბადაღებულ კონტრაქტს, მე დავესწარი და ვნახე, რა სიტუაციაში არიან ჩვენი ახალგაზრდა კალათბურთელები. მე მართლა არ ველოდებოდი ასეთ პირობებს და გაოცებული დავრჩი.

ასევე დავიწყეთ ინტეგრაცია სპორტის სხვა სახეობებთან, დავესწარით მორაგბეთა ნაკრების დაპირისპირებას რუმინეთთან და ე.წ. მესამე ტაიმზეც ვიყავით მათთან ერთად. ამას მიეცემა სისტემატური ხასიათი და სპორტის ყველა სახეობასთან შევეცდებით, რომ ერთ მუშტად შევიკრათ. ჩვენს თამაშებზეც ავსტრიასთან და სერბეთთან აუცილებლად იქნებიან სხვა სპორტის წარმომადგენლებიც.

– საკალათბურთო სკანდალის შემდეგ ამ ამბებში გახვეული ერთ-ერთი მათგანის აქტივობა შეინიშნება ბავშვთა კალათბურთში. რამდენად მართებულია მათი ბავშვებთან ყოფნა?

– გამოძიება არ არის დასრულებული. რა დადგენილებასაც გამოიტანს სასამართლო, იმის მიხედვით მოვიქცევით ჩვენ. მანამდე კი ფიქრიც არ იქნება მათ კალათბურთში დაბრუნებაზე. ოფიციალურად ისინი ვერ იქნებიან გუნდთან ერთად, თუმცა მათ დასწრებას ვერ ავუკრძალავთ. მათ აკრძალული აქვთ ყველანაირი საკალათბურთო აქტივობა.

– სუპერლიგაში გუნდებისა და ლეგიონერების ლიმიტის თაობაზე ბევრი მოსაზრება იწერება.

– პირადად ვფიქრობ, რომ სუპერლიგაში უნდა იყოს 10 გუნდი. კენტი გუნდების რაოდენობა ჩემპიონატზე კარგად არ მოქმედებს და გეტყვით, რომ არც მომწონს. უნდა გავარდეს ერთი გუნდი, ხოლო მე-9 ადგილოსანი გადათამაშებაში უნდა იყოს ა ლიგის მეორე ადგილოსანთან. ლეგიონერებს რაც შეეხებათ, არის 2 ვარიანტი: სუპერლიგაში 5 და ა ლიგაში ერთით ნაკლები, ან ორივე ლიგაში თითო ლეგიონერეთ შემცირებული.

– თქვენ ისაუბრეთ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მასპინძლობაზე. რა შანსები გვაქვს ამ მხრივ?

– როგორც ჩვენ ვიცით, 7-8 ქვეყანას აქვს ამის სურვილი. ჩვენ უნდა წარმოვაჩინოთ საკუთარი შესაძლებლობები ავსტრიასა და სერბეთთან მატჩის ორგანიზებაში. უნდა ვაჩვენოთ ფიბას, რომ შეგვიძლია. პროგრამა-მინიმუმი არის ჯგუფური ეტაპის ჩატარება და მაქსიმუმი – ფინალური ეტაპი. თუ ამ ყველაფერს ფიბა გაითვალისწინებს, მასპინძლობის დიდი შანსი გვექნება.

– თქვენ იყავით ესპანეთში და შეხვდით კალათბურთელებს. ამ კალათბურთელებმა თქვენს ოპონენტს დაუჭირეს მხარი და შედგა თუ არა ამაზე საუბარი?

– მე წინააღმდეგი ვარ, რომ მოქმედმა კალათბურთელმა რომელიმე კანდიდატის მხარე დაიჭიროს. მერწმუნეთ, ეს საუბარი ნამდვილად არ შემდგარა და გაიარა ამ ყველაფერმა. კალათბურთი არის ყველასი და ჩვენ გვაქვს მეგობრული ურთიერთობა.

– ვერის ბაღში არსებული დარბაზი დაუბრუნდება კალათბურთს?

– ამ კუთხითაც მიდის მუშაობა. კულტურისა და სპორტის მინისტრის თქმით, დოკუმენტები უკვე სრულ მზადყოფნაშია, მაგრამ საჭიროა მოეწყოს ინფრასტრუქტურა, ვერის სასახლე ცუდ მდგომარეობაშია. გვაქვს საუბარი სპონსორებთან.

– ბოლო დროს ქალთა კალათბურთი დაიძრა. ხომ არ შეჩერდება?

– პირიქით. გვინდა, რომ კიდევ უფრო განვითარდეს. ჩვენ გვქონდა შეხვედრები და ვისაუბრეთ ამ თემებზე. გვინდა, რომ წინა მმართველობის დაწყებული საქმე კიდევ უფრო გავამდიდროთ.

შოთა მიშველიძე ევროპის ჩემპიონია

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე შოთა მიშველიძემ ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. რაც მთავარია, ორჭიდის ჯამში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა და 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში კონტინენტის საუკეთესო ძალოსანია.

ეს წონითი კატეგორია საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ატაცაში ყველას ბულგარელმა სტილიან გროძევმა აჯობა, რომელმაც 135 კილოგრამი დააფიქსირა, მიშველიძეს მეორე შედეგი ჰქონდა – 134. მცირე ბრინჯაო ასევე ბულგარელ ვლადიმირ ურუმოვს ერგო – 130.

აკვრაში შეკვეთილი წონითი კატეგორიების შემდეგ ნათელი იყო, რომ ჩემპიონობისთვის გროძევი და მიშველიძე იბრძოლებდნენ, მაგრამ სამეულის შანსი ჰქონდათ რუმინელ რონუტ ილიეს (129) და ქართველ რამინ შამილიშვილს (128).

ბრძოლას მალევე ჩამოშორდა ურუმოვი, რომელმაც ორჯერ 152 კილოგრამიანი შტანგა ვერ დაიმორჩილა. მართალია, 152 კი აკრა, მაგრამ ილიემ 154 კილოგრამით მისი შედეგი გააუმჯობესა. მესამე ადგილზე გასასვლელად შამილიშვილს 156 კილოგრამის აკვრა სჭირდებოდა, თუმცა ამ წონას ვეღარ მოერია და მეხუთეზე დარჩა.

რაც შეეხება საჩემპიონო ბრძოლას, პირველად ფიცარნაგზე მიშველიძე გამოვიდა და 150 კილო ადვილად აკრა. იგივე გაიმეორა გროძევმა. ორივე სპორტსმენმა 158 კილო შეუკვეთა და ისევ ორივემ დაძლია. მიშველიძის ახალი წონა 165 კილო იყო, რომელიც ჩვენებურმა აკრა. ახლა ჯერი გროძევზე იყო – თუ იგივე წონას ბულგარელი დაძლევდა, შოთას მხოლოდ მცირე ოქრო ერგებოდა, ხოლო ორჭიდის ჯამში ჩემპიონი გროძევი ხდებოდა.

საბედნიეროდ, ასე არ მოხდა – ბულგარელი წონას ვერ მოერია და ევროპის ჩემპიონი ქართველი ძალოსანი გახდა.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჯგუფის ლიდერ დანიასთან ფრე ითამაშა

საქართველო-დანია 2:2

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 ხარაიშვილი (31), 1:1 სკოვი (43), 2:1 მიქელთაძე (62), 2:2 ნისენი (75)

საქართველო: კუპატაძე, მარგველაშვილი, ნადარაია, ხარაიშვილი (მიქელთაძე 61), ზარანდია, კიტეიშვილი, ცეცხლაძე, შულაია, არაბიძე (ბერიძე 88), გიორგაძე, ქანთარია

დანია: ჯონი, ნისენი (ტიჩოსენი 90), რასმუსენი, ანდერსენი, პედერსენი, ნელსონი, დუელუნდი, ინგვარტსენი, სკოვი (პოლი 87), ბრუუნ ლარსენი (სორენსენი 46), კრისტენსენი

საქართველოს 21-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ლიდერ დანიას 2-ჯერ უგებდა, მაგრამ საბოლოოდ, ფრეს დასჯერდა – 2:2.

დანიელები მატჩის აშკარა ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საამისო არაფერი გამოუვლენიათ. ვერ ვიტყვით, რომ მატჩი რომელიმე გუნდს უნდა მოეგო და ფრე ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. ჰო, უხვგოლიანი კი გამოდგა შეხვედრა, მაგრამ ეს უფრო მეკარეთა შეცდომის ხარჯზე.

პირველ ტაიმში გია ცეცაძის გუნდი ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა და ნახევარი საათის თავზე დაწინაურდა კიდეც – გიორგი ხარაიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა და ბურთი სებასტიან ჯონის კარში აღმოჩნდა. დანიელთა მეკარეს გუნდის გადარჩენა შეეძლო.

ტაიმის მიწურულს რობერტ სკოვმა ასევე საჯარიმოს გარედან გაისროლა და ლაზარე კუპატაძეს ახლო კუთხეში გაუტანა.

დანიელთა მეკარემ მეორე ტაიმში გოლი გვაჩუქა, როდესაც ბექა მიქელთაძის კარის შუაში დარტყმული ბურთი ვერ მოიგერია. უკეთ თამაში მართებდა კუპატაძესაც, როდესაც კუთხურის შემდეგ რასმუს ნისენის დარტყმული ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა – 2:2 და მატჩის ასე მორჩა.

საქართველოს ნაკრებს 7 ტურში 8 ქულა მოუგროვდა და ჯგუფში მე-3 ადგილზე დარჩა, მაგრამ დაკარგული ქულებით მეოთხე მაჩვენებელი აქვთ.

ცეცაძის შეგირდებს შესარჩევ ციკლში 3 მატჩი დარჩათ ჩასატარებელი: 7 სექტემბერს ლიტვას, 12 ოქტომბერს – ფინეთს, ხოლო 16 ოქტომბერს – პოლონეთს ესტუმრებიან.

შედეგები

27 მარტი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

იაპონია-უკრაინა	1:2
სომხეთი-ლიტვა	0:1
საქართველო-ესტონეთი	2:0
რუსეთი-საფრანგეთი	1:3
აზერბაიჯანი-მაკედონია	1:1
ირანი-ალჟირი	2:1
კოსოვო-ბურკინა ფასო	2:0
შვეიცარია-პანამა	6:0
ჩერნოგორია-თურქეთი	2:2
უნგრეთი-შოტლანდია	0:1
საბერძნეთი-ეგვიპტე	1:0
დანია-ჩილე	0:0
კოტ დივუარი-მოლდოვა	2:1
სენეგალი-ბოსნია	0:0
ტუნისი-კოსტა რიკა	1:0
სლოვენია-ბელარუსი	0:2
ლუქსემბურგი-ავსტრია	0:4
რუმინეთი-შვედეთი	1:0
ბელგია-ს.არაბეთი	4:0
გერმანია-ბრაზილია	0:1
პოლონეთი-ს.კორეა	3:2
ინგლისი-იტალია	1:1
კოლუმბია-ავსტრალია	0:0
მაროკო-უზბეკეთი	2:0
ნიგერია-სერბეთი	0:2
ესპანეთი-არგენტინა	6:1
აშს-პარაგვაი	1:0
ისლანდია-პერუ	1:3
მექსიკა-ხორვატია	0:1

ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი (21)

კვიპროსი-შვედეთი	0:1
საბერძნეთი-ჩეხეთი	3:0
საქართველო-დანია	2:2
ყაზახეთი-ლუქსემბურგი	3:0
თურქეთი-მალტა	4:2
ხორვატია-მოლდოვა	4:0
შვეიცარია-პორტუგალია	2:4
სლოვაკეთი-ალბანეთი	4:1
ბულგარეთი-სლოვენია	3:0
ავსტრია-მაკედონია	2:0
ანდორა-ჰოლანდია	0:1
ლიხტენშტეინი-ბოსნია	0:4
პოლონეთი-ლიტვა	1:0
ისრაელი-ნორვეგია	1:3
კოსოვო-გერმანია	0:0
ინგლისი-უკრაინა	2:1
ესპანეთი-ესტონეთი	3:1
გიბრალტარი-რუსეთი	0:5
ირლანდია-აზერბაიჯანი	1:0
ჩერნოგორია-საფრანგეთი	0:2

მოამზადა მანუელ ყორეყოლიანმა

17 წლამდე ნაკრები სხვა მატჩებზეა დამოკიდებული

საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა 2018 წლის ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდი მეორე ადგილით კი დაასრულა, მაგრამ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი თითქმის ნულია. გიორგი ნემსაძის გუნდმა მასპინძელ პოლონეთთან ფრედ, 2:2 ნათამაშები შეხვედრის შემდეგ 0:2 წააგო ირლანდიასთან, ხოლო დასკვნით შეხვედრაში 6:1 გაანადგურა მაკედონია და ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა პოლონეთს. თუმცა... ევროპირველობის ფინალური ეტაპი 4-20 მაისს ინგლისში ჩატარდება და მას 16 მონაწილე ეყოლება. ტურნირის რეგლამენტის თანახმად, საგზურებს 8 ჯგუფის გამარჯვებულები და 7 საუკეთესო მეორეადგილოსანი იღებდნენ. ძველი წესებით საქართველოს ნაკრები უკვე ფინალურ ეტაპზე იქნებოდა, მაგრამ უეფამ შეცვალა წესები და გააუქმა ბოლო, მეოთხეადგილოსანთან ნაჩვენები შედეგები, რის შედეგად ჩვენს ნაკრებს მინიმალური შანსი დარჩა. დარჩენილია მხოლოდ ერთი ჯგუფის თამაშები და ჩვენთვის სასურველი ვარიანტია, რუმინეთმა 2 და მეტი ბურთის სხვაობით უნდა დაამარცხოს სლოვენია და უნგრეთმა არ უნდა წააგოს ისრაელთან. არადა, მაკედონიასთან ჩვენმა ნაკრებმა ჩინებულად ითამაშა და საქმე პირველივე ტაიმში მოუთავა, როდესაც 4 გოლი გაიტანა. გუნდის კაპიტან ზურიკო დავითაშვილს უკვე მე-16 წუთისთვის ჰეთ-თრიკი ჰქონდა შესრულებული, შემდეგ კი კრისტიან ტრპჩევსკიმ თავის კარში შეაგდო. მეორე ტაიმში დავითაშვილმა პოკერი გაახერხა, ხოლო კიდევ ერთი გოლი ხვიჩა კვარაცხელიას ანგარიშზეა. მაკედონიელმა დავიდ ტოშევსკიმ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში პრესტიჟის გოლი გაიტანა – 6:1 ქართველთა სასარგებლოდ.

ფასტფუდის თანამშრომელი კერძებში აფურთხებდა

ვიდეომ, რომელზეც ასახულია, რომ სწრაფი კვების რესტორნის თანამშრომელი ქალბატონი, მომხმარებლების თვალწინ კერძში აფურთხებს, სკანდალი გამოიწვია.

ინციდენტი ამერიკის მონტანას შტატის ქალაქ მიზულაში მდებარე პიტა პიტის რესტორნების ქსელის ფილიალში მოხდა. ვიდეოზე კაფეს თანამშრომელმა მომხმარებელთან კამათის შემდეგ მისთვის მომზადებულ პიტში ჩააფურთხა, შემდეგ ის დახლს იქიდან მოისროლა და დააყოლა: „ეს იმიტომ, რომ უკვე სამი ღამეა აქ ვარ და სახლში წასვლა მინდა!“ რაში მდგომარეობდა მათი კონფლიქტი, უცნობია.

შეურაცხყოფილმა მომხმარებელმა ვიდეორგოლი ფეისბუქში განათავსა, სადაც ის დაახლოვებით 385 ათასმა ადამიანმა ნახა. ამის შემდეგ დაწესებულების მფლობელებს ბოდიშის მოხდა მოუხდათ, მათ ასევე განაცხადეს, რომ თანამშრომელი ქალბატონი, რომელმაც კერძში ჩააფურთხა, სამსახურიდან განთავისუფლებულია.

ზოოპარკის ზედამხედველმა წეროს სცემა

ჩინეთის ჰებეის პროვინციის ქალაქ შიცზიაჩჟუანში ზოოპარკის თანამშრომელმა იშვიათი სახეობის მანჯურულ წეროს დამთვალიერებლების თვალწინ სცემა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

ზოოპარკის ადმინისტრაციის განცხადების თანახმად, ფრინველმა ზედამხედველს სახეში ჩაუნისკარტა. ამის გამო ის გამწარდა, საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, ჯოხს ხელი დასტაცა და ცემა დაუწყო. შემთხვევის თვითმხილველის თქმით, ყოველ დარტყმაზე წერო საშინელი ხმით კიოდა და წამოდგომას ცდილობდა, თუმცა, უშედეგოდ.

ცემის შედეგად ფრინველი ერთიანად სისხლში იყო ამოსვრილი. გარდა ამისა, მას მოტეხილი აქვს ფრთა. ზოოპარკის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ წეროს ვეტერინარული დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა დარწმუნებულნი არ არიან, რომ ის ბოლომდე მოიშუშებს ტრავმებს.

ზოოპარკის თანამშრომლის თქმით კი, ის თავდაცვის ფარგლებში მოქმედებდა. მას ოფიციალური გაფრთხილება მისცეს და სამი თვით სამუშაოს ჩამოაშორეს.

მანჯურული წერო სრული გადაშენების პირას მყოფი სახეობაა. სპეციალისტების შეფასებით, მსოფლიოში 1,7 ათასიდან 2 ათასამდე ფრინველია დარჩენილი. ჩინეთში ის უიშვიათეს სახეობადაა აღიარებული და მას კანონი იცავს.

88 წლის ჭკუასუსტმა მამაკაცმა მეძავი დაცხრილა



ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს მცხოვრებმა, 88 წლის მამაკაცმა ჯინ სანდერლინმა მეძავი ჩაცხრილა, რომელმაც მას სექსისთვის შეპირებული 20 დოლარი მოსთხოვა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. მამაკაცი, რომელიც ქუჩაში ყავარჯნების დახმარებით გადაადგილდებოდა, პროდუქტების მაღაზიასთან 22 წლის მეძავს, რომელიც სამი თვის ფეხმძიმე იყო, სექსზე შეუთანხმდა. ამის შემდეგ წყვილი მამაკაცის სახლში წავიდა, სადაც ის მარტო ცხოვრობდა.

მას შემდეგ, როდესაც მამაკაცმა შიშველ ქალს ალერსი დაუწყო, მეძავმა მოსთხოვა მისთვის შეპირებული თანხა ეჩვენებინა. მამაკაცმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და ალერსი განაგრძო, რითიც ქალი გააბრაზა.

როდესაც ქალმა უკმაყოფილების ნიშნად ყვირილი დაიწყო, მამაკაცმა მას წასვლა მოსთხოვა. ის კი ფულის გადახდას მოითხოვდა, მაშინ პენსიონერმა ბალიშის ქვეშიდან რევოლვერი გამოაძრო და სროლა ატეხა, შედეგად მეძავი თეძოში დაიჭრა.

ქალი მეზობელთან შეიჭრა, რომელმაც პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისული სამართალდამცავები ექვსი საათის განმავლობაში აწარმოებდნენ პენსიონერ მამაკაცთან მოლაპარაკებას, რის შემდეგაც ის ბინიდან გამოვიდა და ჩაბარდა.

სასამართლოში, რომელსაც მამაკაცისთვის აღმკვეთი სასჯელი უნდა შეეფარდებინა, პოლიციელებმა შენიშნეს, რომ მოხუცს ჭკუასუსტობა სჭირდა. პროკურორები თავიანთ გამოსვლაში ამ ფაქტს ყურადღებას არ აქცევდნენ. საბოლოოდ მამაკაცი 30 ათასი დოლარის გირაოთი გაათავისუფლეს.

ამერიკის ციხეში 200 მამალი ჩასვეს

ამერიკის არკანზასის შტატში 200 მამალი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა მამლების ბრძოლებში მონაწილეობისთვის. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი სააგენტო ავრცელებს. შინაური ფრინველების დაკავება პოლიციის რეიდის დროს მოხდა, რომელიც ქალაქ დე-კუინში იქნა ჩატარებული და ისინი ციხის ტერიტორიაზე მტკიცებულებების სახით მოათავსეს. მათ სამომავლო ბედს სასამართლო გადაწყვეტს.



მამლების მოვლა პატიმრებს დაავალეს, რომლებმაც ადმინისტრაციის ნდობა დაიმსახურეს. საპატიმროს მახლობლად მდებარე ორგანიზაციის თანამშრომლები კი ფრინველების ხმაურს უჩივიან.

პოლიციის რეიდის დროს ასევე დააკავეს 137 ადამიანი. მათგან 34-ს ცხოველების მონაწილეობით ორთაბრძოლების უკანონოდ ორგანიზებაში ედებათ ბრალი, 86 წვრილმან კანონდარღვევაშია ეჭვმიტანილი, ხოლო დანარჩენები მამლების ორთაბრძოლებს მაყურებლების რანგში ესწრებოდნენ.

ბრიტანელი დღეში ერთ ფუნტად იკვებებოდა და გადარჩა

ბრიტანელი ქალბატონი ერთი კვირის მანძილზე საკუთარი თავის გამოსაკვებად დღეში ერთ ფუნტ სტერლინგს ხარჯავდა. საკუთარი ექსპერიმენტის შესახებ ის ერთ-ერთ გამოცემას ესაუბრა.

კეტი ტიმსი საუზმეზე მიირთმევდა წყალწყალა შვრიას, რომელშიც ამატებდა ცოტა ჯემს, ან ორ ტოსტს ჯემით და მსხლით. გოგონა სადილობდა პაკეტის წვნიანით ან ტოსტები სარდინებით, ვახშამზე კი მიირთმევდა მაკარონს ტომატით და ქათმის კოტლეტებით „ხორცის ნაკლები შემცველობით“ და კარტოფილით. ზოგჯერ კი ტიმსი ვახშამზე ამატებდა ლობიოს და ყველ მოცარელას.

გოგონა ექსპერიმენტის პირობებს იცავდა, თუმცა დაიჩივლა, რომ ეს მისთვის ადვილი არ ყოფილა.

– პირველ დილას იმის სურვილით გამეღვიძა, რომ მოხარშული კვერცხი მეჭამა, მაგრამ ამის ნაცვლად შვრიის ჭამა მომიხდა, – განაცხადა გოგონამ. მან იქვე დაამატა, რომ ყველაზე მეტად ვახშამი გაუჭირდა, ვინაიდან ის ხორციან კერძებს იყო შეჩვეული.

გოგონამ ექსპერიმენტის ჩატარება მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც შეიტყო, რომ საშუალო ბრიტანელი კვირაში 81 ფუნტს ხარჯავდა კვებაზე. ტიმსმა აღნიშნა, რომ ექსპერიმენტმა მას საშუალება მისცა მიმხვდარიყო, რომ საკვების არა დამზადება, არამედ მისი იმპულსურად ყიდვა, ფუფუნებაა, ხოლო დღეში ერთ ფუნტად ცხოვრება რთული, მაგრამ შესაძლებელია.

ცალფეხა პილოტმა ავიაკატასტროფა საკუთარ პროტეზს დააბრალა

ამერიკის ვირჯინიის ქალაქ საფოლკში ცალფეხა მფრინავს, რომელმაც თვითმფრინავი დაამტვრია, ორკვირიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

2017 წლის ივლისში 55 წლის რობერტ გრეი-უმცროსმა თავი ვერ გაართვა ოთხადგილიანი მსუბუქძრავიანი თვითმფრინავის მართვას. დაშვების დროს თვითმფრინავი მარჯვნივ გადაიხარა, მიწის ბექობს წამოედო, 180 გრადუსით შეტრიალდა და ხეებს შეასკდა. ამ შემთხვევის შედეგად არავინ, მათ შორის თავად პილოტიც, არ დაშავებულა.

კატასტროფის შემდეგ გრეიმ, რომელსაც ფრენების მართვის მოწმობა არ ჰქონდა, განაცხადა, რომ თვითმფრინავის საჭესთან ვიღაც სხვა იჯდა. მან საკუთარი სიცრუე მხოლოდ მას შემდეგ აღიარა, როდესაც პოლიციამ გაუჩინარებული პილოტის ძებნა დაიწყო. მისი თქმით, თვითმფრინავი მისი პროტეზის გამო შეტრიალდა, რომელიც მუხრუჭის სატერფულზე გაიჭედა.

გრეის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თვითმფრინავის მართვის მოწმობის აღება არ შეეძლო. მას დიაბეტი, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქტული დაავადება და გულის უკმარისობა აქვს. გარდა ამისა, მას მარცხენა ფეხიც ამპუტირებული აქვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

29 მარტისთვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – იღბლიანი დღეა. ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ. ემოციები მოთოკეთ. **ᲙᲣᲠᲗ** – კეთილისმყოფელი პერიოდია სამოგზაუროდ წასასვლელად, მივლინებებისათვის. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. **ᲒᲣᲜᲓᲑᲘ** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა, რაც მსუბუქი დეპრესიის მიზეზი გახდება. დაკავდით თვითანალიზით. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲑᲘ** – თქვენი პირდაპირობის გამო შესაძლოა პარტნიორებთან უთანხმოება გქონდეთ. იყავით უკომპრომისო. **ᲚᲝᲛᲘ** – სამსახურშიც და პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი რიგზე გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ᲙᲐᲚᲜᲘᲡᲘ** – თუ საკუთარ თავზე იმუშავებთ და ცოდნას გაიღრმავებთ, წარმატება არ დააყოვნებს. ოჯახის წევრებს თქვენი ყურადღება აკლიათ. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – თქვენი შემოსავალი იზრდება. ვარსკვლავები გწყალობენ. ჯანმრთელობას მეტი დრო დაუთმეთ. **ᲧᲠᲘᲐᲜᲕᲐᲚᲘ** – ემოციურად დაძაბული დღეა. მწვავდება ქრონიკული დაავადებები. თუ საშუალება გაქვთ, სახლში დარჩით და დაისვენეთ. **ᲗᲔᲗᲠᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – იაქტიურეთ. პროფესიულ სფეროში წარმატებები გელით. შესაძლოა დაგაწინაურონ კიდეც. **ᲗᲮᲘᲚᲘ ᲠᲥᲐ** – კრიტიკული დღეა. პირადი პრობლემები თავს იჩენს. სიტუაციის გამწვავება არ ღირს. **ᲛᲔᲠᲜᲧᲣᲚᲘ** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. შემოთავაზებული წინადადება თამამად მიიღეთ. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – გარშემომყოფების კეთილგანწყობას გრძნობთ. მოსალოდნელია საქმიანი შეხვედრები.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ტკბილი კარტოფილი; 3. პლანეტის თანამგზავრი; 4. შანშიაშვილის დრამა; 6. ტყავის დამამზადებელი საამქრო ძველად; 8. თურქეთისა და საბერძნეთის ნაპირებთან მდებარე ზღვა; 11. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვედეთის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 17. ავსტრალიური ველური ძაღლი; 18. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი.

თარაზულად: 1. ქართველი მწერალი; 5. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 7. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 9. აკრძალვა პროდუქციის შემოტანაზე სახელმწიფოში; 10. ბედიღბიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 14. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 15. ესპანელი მხატვარი; 19. წელის ტკივილი; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილი; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ქვაწვია; 2. სინათლე; 3. მეთუნე; 4. პასკა; 5. ჩიჩერონე; 7. ბოა; 11. გიტარა; 15. ხერსონი; 16. ქაჯანა; 17. ვეკუა; 18. აგარა; 20. გრილი; 22. ლისი.

თარაზულად: 6. ვალაბი; 8. პირინეი; 9. ბასმაჩი; 10. წახნაგი; 12. ტუნგი; 13. ალუჩა; 14. კოქტეილი; 19. ბერინგი; 21. ჭედილა; 23. განჯა; 24. ზუროსი; 25. ანაკლია; 26. ლაჟვარდი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ფოტონი; 2. ხუდონი; 3. ბოლივუდი; 4. ტრიუმი; 6. აერობუსი; 8. ფიკუსი; 11. კუპიდონი; 12. ქუთაისი; 16. ბასრა; 17. მაცნე; 18. ჰიმნი.

თარაზულად: 1. ფერხისა; 5. კაკაო; 7. ჩონგური; 9. ოოლოგია; 10. მურილიო; 13. სარდელი; 14. ჰუმუსი; 15. ყუმი; 19. დამბაჩა; 20. რაფინადი; 21. სამეგრელო; 22. ჟიგული.

შოთა რუსთაველი მსოფლიოს საუკეთესო პოეტების ჩამონათვალში ლიდერობს

შოთა რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ანა კალანდაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთ-ერთმა უცხოურმა ვებ გვერდმა მსოფლიოს საუკეთესო პოეტების საუკეთესო ასეულში შეიყვანა.

პირველი ადგილი კი შოთა რუსთაველს მიანიჭა. ვებ გვერდზე გამოკითხვა ახლაც გრძელდება, სადაც მსოფლიოში ყველა დროის 100 საუკეთესო პოეტი უნდა შეირჩეს. გამოკითხვაში მონაწილეობა და საკუთარი რჩეულისთვის ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ასმათ ტყაბლაძე ილია ჭავჭავაძის სასამართლო შენობის აღდგენას ითხოვს

მსახიობი ასმათ ტყაბლაძე დუშეთში მდებარე ილია ჭავჭავაძის სასამართლო შენობის აღდგენას ითხოვს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა უმძიმეს მდგომარეობაშია. შენობა, რომელიც დუშეთში მდებარეობს და ილია ჭავჭავაძის სასამართლოს შენობის სახელით არის ცნობილი, ინგრევა.

ასმათ ტყაბლაძე:

– ეს არის დიდი დანაშაული. ვინც ხელს არ უწყობს და, პირიქით, ხელს უშლის ამ შენობის რეაბილიტაციას, ეს არის დანაშაული ერის და ქვეყნის წინაშე. მე სასამართლოს გავმართავდი და გავაგებინებდი მავანს, რომ ეს დანაშაულია.

დავით არჩვაძე „მხოლოდ ქართულის“ ჟიურის წევრებით გაკვირვებულია

მომღერალი და კომპოზიტორი დავით არჩვაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ახალი მუსიკალური პროექტის „მხოლოდ ქართული“ ხელმძღვანელებს მიმართავს და არ მალავს, რომ მათი ქმედებით გაკვირვებულია.

დავით არჩვაძე:

– ამ მუსიკოსის მიმართ არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, მაგრამ ესაა „მხოლოდ ქართული“?!

ძალიან მიხაროდა და დიდი ინტერესით გავუშვი ბევრი ღირსეული კონკურსანტი, მარა ვერც ერთი ვერ მოხვდა კონკურსში, ვინც მართლაც რომ ჭეშმარიტად ქართული ჯიგრით მღერის.?გაკვირვებული ვარ, კოლეგებო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

თეიმურაზ ფანჯიკიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ამბროლაურის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ვაჩაძე

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

შპს `BLG~-ის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გიორგი მიქაძეს მამის

ვახტანგ მიქაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ირაკლი კაკაბაძე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ბოიკოტს უცხადებს

მწერალი და დრამატურგი ირაკლი კაკაბაძე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას ბოიკოტს უცხადებს.

ირაკლი კაკაბაძე:

– რატომ არ წავალ ფრანკფურტში „წიგნის ვაჭრობაზე“.

1. 2009 წელს უკვე ნამყოფი ვარ ფრანკფურტის წიგნის „ვაჭრობაზე“. მაშინ პიტერ რიპკენმა პერსონალური სტენდი მომიწყო და პერფორმანსიც მქონდა იქანა. მადლობელი ვარ ამისათვის და ახლა მინდა ჩემს ადგილას ახალგაზრდა ავტორი წევიდეს იქანა, თქვენ ხართ ჩემი ბატონები.

2. დავბერდი და მივხვდი, რომ წიგნი ვაჭრობის საგანი არ უნდა იყოს – განათლების საგანია და მწერლის გავაჭრუკანება არ არის საშური საქმე. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ასეთ ივენთებში ანუ ძალ-ღონის ძიებებში მონაწილეობას აღარ მივიღებ.

3. არ მიმაჩნია, რომ დღეს რამენაირად ზნეობრივია იმ ქვეყნის წარმოდგენა სადმე, რომელსაც ბანკირები და ტრანს-ნაციონალური კომპანიები მართავენ. უფრო მეტიც – მწერლების დიდი ნაწილიც ამ ბანკირების და ტრანს-ნაციონალების მონობაშია, რაშიც არ ერთ მწერალს არ ვამტყუნებ – უბრალოდ მე ვიცი, რომ ვერ გავჩუმდები და რატომ შევქმნა უაზრო აუიოტაჟი?

4. სრულიად მიუღებლად მიმაჩნია დღეს იმ „კოლექტივის' მწერლობა, რომელიც წარმოადგენს სრულიად უზნეო ქვეყანას, სადაც მილიონ ადამიანამდე უნდა საკუთარი სახლიდან გამოასახლონ, სადაც ბანკის პროცენტების მონობას ეწირება უამრავი ადამიანი ყოველდღე, სადაც კონტრაბანდა და არალეგალური „ვაჭრუკანობა' ახალგაზრდებს გვიკლავს ყოველდღე და მწერლები ჩუმად ვართ.

5. ყველანაირად უარს ვამბობ ბანკირების, მევახშეებისა და კონტრაბანდისტების სახელმწიფოს სახელით ამ ფორუმში მონაწილეობის მიღებაზე და მინდა გზა დავულოცო ახალგაზრდა მწერლებს.

6. ეს საქართველოს დროშა არაფრით არ არის ჩემი დროშა. რაღაც ფუნდამენტალისტური ნიშნებით გატენილი დროშისთვის მე არ მიბრძოლია უკანასკნელი 30 წელი. ჩემი დროშაა „შვინდისფერი ალამი შავის და თეთრის ზოლითა' – ამ დროშით ვიბრძოდით და ახლაც ამ დროშის მწამს. მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს დროშის.

7. დღეს, ნაციონალიზმი გახდა ქართველი ერის – ისევე, როგორც ბევრი სხვის – დაავადება – და ამ უბედურებიდან გამოსვლისათვის მე მიმაჩნია, რომ რაც შეიძლება მეტმა ინდივიდუალმა მწერალმა თავი უნდა შეიკავოს ნაციონალისტურ მასკარადებში მონაწილეობის მიღებისაგან. ამის დრო იყო 1988 წელს – კი ბატონო. ახლა კი ზოგად-საკაცობრიო და ჰუმანური იდეალების დროა. მწერლების კოლექტიურად და დროშის ქვეშ სადმე სიარული „ქართული მარშის' ნაირსახეობად მესახება სამწუხაროდ და ვერანაირად ვერ მივიღებ მონაწილეობას ამაში – მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილამდე მიყვარს თითქმის ყველა მონაწილე.

პ.ს. აქვე მინდა ჩემი უზომო პატივისცემა გამოვხატო და დიდი სიყვარული ჩემი კოლეგების და ჩემი საყვარელი დისშვილის, იკი ჭოღოშვილის მიმართ, რომელთა მიმართაც მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ძალიან მიყვარხართ და გისურვებთ დიდ წარმატებებს.

ინგლისურ პრესაში სენსაციური ისტორიული წყაროები საქართველოზე საჯაროა

საქართველოს შესახებ დღემდე უცნობი, სენსაციური ისტორიული წყაროები ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება.

29 მარტს ხელოვნების სასახლეში გაიმართება პრეზენტაცია წიგნისა „მეფე ერეკლე ინგლისურ და ირლანდიურ პრესაში“.

სწავლობდა თუ არა „პატარა კახი“ ლონდონის ვულვიჩის აკადემიაში, რა ვითარებაში მოუწია მას საქართველოს გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება და რატომ იღუპებოდნენ საეჭვო ვითარებაში თბილისიდან ევროპაში წარგზავნილი ელჩები. ამ კითხვებს პასუხი ირლანდიიდან ჩამოტანილი უცნობი ისტორიული წყაროების საშუალებით გაეცა.

ისტორიული პროექტი 2014 წელს დაიწყო და მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა „ფონდი ქართუ“-ს ფინანსური თანადგომით, ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობითა და ირლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით.

ორენოვანი ნაშრომი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ, უნიკალურ ისტორიულ ცნობებს აერთიანებს და მეფე ერეკლეს წარმატებულ სამხედრო და პოლიტიკურ კარიერაზე, მის პროდასავლურ ორიენტაციასა და მსოფლიო პოლიტიკაში ქართველი მონარქის ღირსეულ ავტორიტეტზე გვიამბობს.

აღსანიშნავია, რომ ცნობები ქართველი ხელმწიფის შესახებ ინგლისური გაზეთების პირველ ან ძირითადი სიახლეების გვერდებზე იბეჭდებოდა და ინგლისურ პრესას არც ერთი ქართველი მონარქისადმი მსგავსი ინტერესი არ გამოუჩენია. მე-18 საუკუნეში ბრიტანული პრესის 29 ძირითადი გამოცემა აქტიურად წერდა მეფე ერეკლეს პირად მახასიათებლებზე, პოლიტიკურ მიღწევებსა თუ მარცხზე.

წიგნში ასევე შესულია ინგლისურ პრესაში დაბეჭდილი დოკუმენტები და ცნობები იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ევროპელების თვალით დანახული XVIII-XIX საუკუნის საქართველო, მისი გეოგრაფია, კულტურა და ტრადიციები, დღემდე არსებული ისტორიული ფაქტების ახლებურ და მეტად საინტერესო ჭრილში განხილვის საშუალებას იძლევა.

ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმები ღია ცის ქვეშ ყრია

ბაგრატის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი ქართულ ხუროთმოძღვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლია.

ეკლესია 1003 წელს ბაგრატ III-ის მეფობის დროს აიგო. ძეგლი ქართული შუასაუკუნეების საეკლესიო არქიტექტურაში საეტაპო მნიშვნელობის ტაძარია, როგორც თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, ასევე ისტორიული და სიმბოლური მნიშვნელობითაც.

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია და ფოტოები, რომ ბაგრატის ტაძრის 400 ქვა უნიკალური ჩუქურთმებით ნადგურდება:

– ბაგრატის ტაძრის რუდუნებით შეგროვილი 400 ქვა, რომელიც მავანთა დაუდევრობით, გულგრილობით, ზერელეობით, სულსწრაფობით მიტოვებული ყრია ხავსმოდებული და ნადგურდება, თანდათან იშლება მათზე დადებული ნიშანი და ჩუქურთმა, რაც თავის მხრივ ტაძრის სხეულზე მის ადგილს განსაზღვრავდა...

სად ვართ, რას ვაპირებთ, სადამდე ვივიშვიშოთ და ასე ვუყუროთ განადგურებისთვის განწირულს?!

საერთაშორისო

შესრულდა იური გაგარინის სიკვდილის 50-ე წლისთავი

1968 წლის 27 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა პირველი კოსმონავტი, ეროვნებით რუსი იური გაგარინი. მისი სიკვდილის 50-ე წლისთავმა რუსეთში შეუმჩნევლად ჩაიარა. მიზეზი ცხადია: რუსეთი გაჭედილია სირიაში, უკრაინაში; კემეროვოში მოხდა ტრაგედია, რის შედეგადაც ადამიანები, მათ შორის ბავშვებიც, დაიღუპნენ.

გაგარინის დაღუპვის 50-ე წლისთავი პომპეზურად მხოლოდ ოკუპირებულ დონეცკში აღნიშნეს. ღონისძიებას სეპარატისტების ლიდერი ზახარჩენკოც დაესწრო. თავის სიტყვაში მან განაცხადა:

– როცა გაგარინი კოსმოსში პირველად გაფრინდა, ყველა ვზეიმობდით! ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ მისი სიკვდილის 50-ე წლისთავზე აღარც საბჭოთა კავშირი იქნებოდა, არც სოციალისტური ბანაკი, დონბასის ქალაქებს კი ბანდერელები დაბომბავდნენ?

ზახარჩენკომ ხაზი გაუსვა, რომ დონბასმა გაგარინის სიკვდილის 50-ე წლისთავი აღნიშნა, რაც თურმე მრავლისმეტყველია.

– დონბასი რუსული ფასეულობების ერთგულია! ძმებო რუსებო, უკრაინელი ფაშისტების ხელში ნუ ჩაგვაგდებთ! – შეჰღაღადა ზახარჩენკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

29 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.4266
- ევრო — 3.0114
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4251
- 100 რუსული რუბლი — 4.2447

ამინდის პროგნოზი 29 მარტისთვის

20 მარტიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

22 მარტიდან

180 ამბავი ილია ჭავჭავაძე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

28 მარტიდან

130 ამბავი ლუდი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ვალერი ყაზაიშვილი: „ერთა ლიგის მოგება შეგვიძლია“

საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ ორი ამხანაგური შეხვედრა მოიგო და ეს ისე გააკეთა, რომ გოლი არ გაუშვია. ესტონეთთან თამაშში ვალერი ყაზაიშვილმა ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა და მატჩის შემდეგ ვაკომ ჟურნალისტებთან კომენტარიც გააკეთა, რომელშიც აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრებს ერთა ლიგის მოგება შეუძლია.

– ვფიქრობ, რომ ერთა ლიგაზე გამარჯვების კარგი შანსი გვაქვს და ყველა ფეხბურთელმა მაქსიმუმი უნდა გააკეთოს. ბოლო პერიოდში ხშირად ვიტან გოლებს და ეს ფაქტი ძალიან მახარებს, – განაცხადა ვალერი ყაზაიშვილმა.

ისკო: „რეალში ბოლომდე არ მენდობიან“

მადრიდის რეალის ნახევარმცველმა ისკომ კლუბში თავის მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას რეალში ბოლომდე არ ენდობიან. ისკოს აზრით, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ის ყოველთვის ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში.

– რეალს დიდ პატივს ვცემ და ამ გუნდთან ერთად ბევრი ტიტული მოვიგე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ბოლომდე არ მენდობიან და ეს არ მომწონს. სავარაუდოდ მაინც რეალში დავრჩები, მაგრამ შესაძლოა სხვაგანაც ვითამაშო. გამორიცხული არაფერი არ არის, – განაცხადა ისკომ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

– რომელია ყველაზე კარგი დრო ვაშლის მოსაკრეფად?

– აგვისტო, – უპასუხა ლევანმა.

– სექტემბერი, – უპასუხა ლალიმ.

– როდესაც ძაღლი დაბმულია, – უპასუხა გიგიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

•••

სამშობიაროში ნასვამი მამაკაცი პალატაში შესვლას ცდილობს და გაჰყვირის:

– შემიშვით, მინდა ჩემი შვილი ვნახო!

– გამოწერის შემდეგ სახლში იქნება და შეგიძლიათ, როდესაც მოისურვებთ, ნახოთ, – ეუბნება სამშობიაროს ერთ-ერთი თანამშრომელი.

– არა, სახლში მისი ქმარი არ შემიშვებს!

•••

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– რაიმე სარვამარტო საჩუქარი მინდა!

– თუ სწორად გაგიგეთ, თქვენ რაიმე ძვირფასი საჩუქრის შერჩევა გნებავთ, ასეა?

– ასე რატომ ფიქრობთ?

– თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს 28 მარტია...

•••

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ შეუძლია სამ პროგრამისტს ბიზნესი წამოიწყონ?

– ერთი ქმნის ვირუსებს, მეორე კი ანტივირუსებს.

– მესამე?

– ოპერაციულ სისტემებს, რომლითაც ეს ყოველივე მუშაობს.

•••

ქუჩაში მაგარი ახალგაზრდა ქერათმიანი ქალი მიდის, რომელსაც ზედატანიდან ცალი ძუძუ მოუჩანს. ყველა შემხვედრი მის დანახვაზე ოხრავს და თვალს არ აშორებს. ბოლოს პოლიციელი მიუახლოვდა ქალს და ეუბნება:

– ქალბატონო, ეს რას ჰგავს, ქუჩაში ასე სიარული როგორ შეიძლება?!

ქალმა მკერდზე დაიხედა და წამოიყვირა:

– ვაიმე, ბავშვი ავტობუსში დამრჩენია!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მესიმ არგენტინის ნაკრების განადგურებას ბოლომდე ვერ უყურა

არგენტინის ნაკრებმა ესპანეთის წინააღმდეგ თავი შეირცხვინა და 1:6 წააგო. შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ლიონელ მესის, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს. მესი მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს და როდესაც ანგარიში 6:1 გახდა, ლეომ ტრიბუნა დატოვა. მატჩის შემდეგ არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხორხე სამპაოლიმ განაცხადა, რომ მის გუნდს სილა გააწნეს და აუცილებელია სწორი დასკვნების გაკეთება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხორხე სამპაოლიმ ამხანაგური შეხვედრებისთვის ნაკრებში არ გამოიძახა პაულო დიბალა და მაურო იკარდი.

ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა დიეგო კოსტამ არგენტინის ნაკრებს დასცინა და თქვა, რომ მესის გარეშე ის არაფერს წარმოადგენს.

კოსტას თქმით, ყველამ დაინახა არგენტინის ნაკრების რეალური ძალა, მაშინ, როდესაც მესი არ თამაშობს:

– არგენტინაში უყვართ მესის კრიტიკა, თუმცა დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ მესის გარეშე არგენტინელებს არაფერი შეუძლიათ. მე მათ ვურჩევდი, რომ დაიფასონ მესი, რადგან ის უნიკალური ფეხბურთელია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ↓



თარაზულად: 1. ძვირფასი ლითონების მიღების მეტალურგიული პროცესი; 2. პირველი ქართველი დიდოსტატი მამაკაცი ჭადრაკში; 3. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 4. ავტოდრომი იტალიაში; 5. სვანური ციხე-კოშკი; 7. თემურ ბაბლუანის მხატვრული ფილმი; 11. აშშ-ის პრეზიდენტი; 15. სადილის ან ჩაის ჭურჭლის მთლიანი კომპლექტი; 16. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. უსქესოდ, ვეგეტაციურად წარმოქმნილი შთამომავლობა; 20. ხეებზე, ქვებზე მზარდი უფესვო სპოროვანი მცენარე; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში.

თარაზულად: 6. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, პარიზში ქართული ეკლესიის დამაარსებელი, თეოლოგიის დოქტორი; 8. მდინარე ახალციხეში; 9. შუამავალი ბირჟაზე; 10. აზოტმჟავას მარილი; 12. მოკლე შარვალი; 13. ზღვა უკრაინა-რუსეთის ნაპირებთან; 14. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო, ოლიმპიური ჩემპიონი; 19. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 21. უნგრელი პოეტი; 23. გადამდნარი ღორის ქონი; 24. პურეული მცენარე; 25. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 26. შტატი აშშ-ის დასავლეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა